# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 4 აგვისტო, 2010 წელი.

№144 (6510)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## როგორ ცდილობს გადმით შემდავებელი გამოღმა შერჩენას, ანუ მგრე არ არის, თაყაო?!

3



## დიდი კაცი თუ გამოგვერია...



მჯერა, რომ მოვა დრო, როცა გადაადგილებულ-დანგრეულ ძეგლებს ხალხი აღადგენს და კუთვნილ ადგილებზე დააბრუნებს. მათ შორის სტალინიც ზარ-ზეიმით დაბრუნდება გორის ცენტრში და, მიუხედავად ყველაფრისა, საქართველო ისევე იამაყებს სტალინის სახელით, როგორც ბერძნები მაკედონელით, რომაელები – კეისრით, ფრანგები – ნაპოლეონით ...

7

## მოვითხოვთ სულ ცოტა 4 თვეს კონსტიტუციის პროექტის საჯარო განხილვისთვის!

2

## რა, არ ალვნეროთ მოსახლეობა?!

3



## როგორ ყიდულობენ სააკაშვილის მეგობრები თბილისში ერთ დოლარად შენობებს

8

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მიხეილ სააკაშვილმა მხარდამჭერ თანამოქალაქეებსა და ორგანიზაციებს უკანონოდ გადასცა დაახლოებით 70 სახელმწიფო ობიექტი. უფრო ზუსტად – აჩუქა.





## ეს ქართული გუნდია!

10





## რატომ არ უნდა მივიღოთ ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი კონსტიტუციის ახალი მოდელი, ანუ დემეტრაშვილისეული არეული და არა შერეული ვირეშმაკობები

4

ხმა ხალხისა

# მოვითხოვთ სულ ცოტა 4 თვეს კონსტიტუციის პროექტის საჯარო განხილვისთვის!

## საქართველოს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მიმართვა საქართველოს პარლამენტისადმი

როგორც ცნობილია, „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიერ მომზადებული კანონპროექტი საქართველოს პრეზიდენტმა უკვე წარუდგინა საქართველოს პარლამენტს. აღნიშნული კანონპროექტის საერთო-სახალხო განხილვისათვის განისაზღვრა მხოლოდ ერთი თვე.

მიგვაჩნია, რომ ერთი თვე, თანაც საშვებულებო პერიოდი, სრულიად არასაკმარისი და შეუფერებელი დროა ისეთი მნიშვნელოვანი საკონსტიტუციო ცვლილებების საჯარო განხილვისათვის, როგორსაც კანონპროექტი ითვალისწინებს. შემოთავაზებული ცვლილებების საფუძველზე იცვლება სახელისუფლო სისტემა, მმართველობის მოდელი, განშტოებებს შორის არსებული ბალანსი. იგი შეეხება ხელისუფლების მოწყობის უმთავრეს კონცეპტუალურ საკითხებს, რომლებიც ნებისმიერი კონსტიტუციის ხერხემალს ქმნის. ცნობილია ისიც, რომ საზოგადოებრივმა საკონსტიტუციო კომისიამ თავისი წინასწარი დასკვნით უარყოფითად შეაფასა კანონპროექტი და საქართველოს პრეზიდენტს მოუწოდა, უკან გაეხმო იგი. ასეთ პირობებში ხალხს, საზოგადოებას სრული უფლება აქვს, იყოს საკმარისად ინფორმირებული იმის შესახებ, თუ რა მიზანს ისახავს საკონსტიტუციო ცვლილებები, ჯეროვნად გაერკვას მათში, გაეცნოს საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის დასკვნას




და მათ მოსაზრებებს, მოუსმინოს პროფესიონალთა აზრს, მონაწილეობა მიიღოს საჯარო დებატებში, დარწმუნდეს შესაბამის ცვლილებათა აუცილებლობაში ან იქონიოს განსხვავებული აზრი, იყოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის შეგნებული და აქტიური მონაწილე.

ამ პროცესისაგან ხალხის ხელოვნურად ჩამოშორება მას აღუკვეთს შესაძლებლობას, ჩასწვდეს და გაითავისოს კონსტიტუციის სულისკვეთება, გამოიმუშაოს შინაგანი თანხმობა მისდამი, გახდეს მისი ჭეშმარიტი ავტორი და იტვირთოს შესაბამისი პასუხისმგებლობა, რის გარეშეც ვერაფრით დამკვიდრდება ნამდვილი კონსტიტუციონალიზმი საქართველოში.

პარლამენტის მიერ ხალხის ლეგიტიმური უფლებების დარღვევით კანონპროექტის ასეთი ნაჩქარევი განხილვა და მიღება იქნება საკუთრივ დემოკრატიისა და კონსტიტუციონალიზმის იმ ფუნდამენტური პრინციპების ფეხქვეშ გათელვა, რის დასაცავადაც არის მოწოდებული ყოველი კონსტიტუცია, მით უფრო – „თანამედროვე ევროპული კონსტიტუცია“, როგორადაც წარმოდგენილ პროექტს დღეს მოიხსენიებენ მისი ავტორები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოვითხოვთ, სულ ცოტა 4 თვეს კონსტიტუციის პროექტის საჯარო განხილვისათვის.

სამოქალაქო საზოგადოება ხელისუფლებას შეახსენებს, რომ სწორედ ხალხია ხელისუფლების წყარო და მთავარი სუბიექტი დემოკრატიულ სახელმწიფოში, ქვეყნის ბატონ-პატრონი და ხელისუფლებისათვის თავისი შეუვალი ნების მოკარნახე.

ზაქარია ქუცნაშვილი – „კანონი ხალხისთვის“; ევა გოცირიძე – სამართლის დოქტორი; ოთარ მელქაძე – სამართლის დოქტორი, „ქართული აკადემია“; პროფესორი; სოსო ცისკარიშვილი – „დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი“; მამუკა არეშიძე – „დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი“; თამარ ხიდაშელი – „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“; გიორგი ჩხეიძე – „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“; ანა მიქელაძე – „სამართლიანი არჩევნები“; დიმიტრი ხაჩიძე – „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“; თემურ ნანეიშვილი – „ქართული აკადემია“; თენგიზ ფხალაძე – „გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრი“; ნანა დევდარიანი – „გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრი“; ნანა კაკაბაძე – „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის“; გელა ნიკოლაიშვილი – „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის“; ნინო ციხისთავი – „კავკასიელ ქალთა ქსელი“; გიორგი ხუციშვილი – „კონფლიქტებისა და მოლაპარაკების საერთაშორისო ცენტრი“; პაატა გაჩეჩილაძე – „21 საუკუნე“; შალვა თადუმაძე – „სამართალი და თავისუფლება“; უჩა ნანუაშვილი – „ადამიანის უფლებათა ცენტრი“; ირინა ფუტკარაძე – „ჯანმრთელი სამყარო“; კახა კახიშვილი – „არჩევნებისა და პიარტექნოლოგიების ცენტრი“; დიმიტრი ცქიტიშვილი – „ახალგაზრდა სოციალისტთა საერთაშორისო კავშირი“ (საზოგადოებრივი ორგანიზაციაძ; კობა ბოჭორიშვილი – „კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი“; ემზარ პაქსაძე – „თავისუფალი განვითარებისა და უფლებების დაცვის ასოციაცია“; ვალერიან (ბექაძ გვალია – „ფონდი მოძრაობა შიმშილის წინააღმდეგ“; ეკა ბესელია – „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“; ეკა რატიშვილი – „პოლიტპატიმრების ოჯახები“; ნინო რომაშვილი – „ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების ცენტრი“; ნინო ცხოიძე – „ემიგრანტთა უფლებების დაცვის ფონდი“; აგიტ მირზოევი – „მრავალეროვანი საქართველო“; თინიკო ბოლქვაძე – „ფონდი ღია საზოგადოება – საქართველო“; გიორგი მარგველაშვილი – „ჯიპას კვლევების ხელმძღვანელი“; გოჩა ალექსანდრია – „გაერთიანებული პროფკავშირები“; პაატა ბელთაძე – „გაერთიანებული პროფკავშირები“; ირაკლი ბურჭულაძე – „კანონი ხალხისათვის“.

თბილისი, 2010 წლის 2 აგვისტო

მთავრობა

# გვაქვს კი კმაყოფილების საფუძველი?

**მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა 2010 წლის იანვარ-ივნისის ეკონომიკური მაჩვენებლები შეაჯამა. ნიკა გილაური კომერციული ბანკების აქტიურობით კმაყოფილია.**



– ექვსი თვის ეკონომიკური აქტიურობის ანალიზი, – თქვა მან, – დავასრულეთ და საკმაოდ საინტერესო ციფრებთან გვაქვს საქმე.

ამ დროისათვის მხოლოდ წინასწარი მონაცემები არსებობს, უფრო დეტალურ ანალიზს საზოგადოებას მომდევნო მთავრობის სხდომაზე გავაცნობ.

ექვს თვეში კომერციული ბანკების სასესხო პორტფელი საგრძნობლადაა გაზრდილი. წლის დასაწყისში იგი 5.3 მლრდ ლარს შეადგენდა, რომელიც ექვს თვეში 5.9 მლრნ ლარამდეა გაზრდილი. ასევე 3,4 მლრდ ლარიდან 3,9 მლრდ ლარამდეა გაზრდილია დეპოზიტების მოცულობა, – განაცხადა ნიკა გილაურმა

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, იანვარ-ივნისში გაზრდილია ასევე ექსპორტის მაჩვენებლები. გილაურის განცხადებით, ექსპორტის ჯამური მოცულობა, გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით, 40 %-ითაა მომატებული. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2009 წლის ექვს თვეში ექსპორტზე 516 მლნ დოლარის პროდუქცია გავიდა, მაშინ, როდესაც 2010 წლის ექვს თვეში, წინასწარი მონაცემებით, 719 მლნ დოლარის პროდუქციაა საზღვარგარეთ გატანილი. პრემიერ-მინისტრის ინფორმაციით, ექვს თვეში გაორმაგებულია ელექტროენერგიის ექსპორტი, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის ზრდა წინასწარი მონაცემებით 25 %-ითაა გაზრდილი.

ოპოზიცია

# ბესელია პრეზიდენტისთვის იმპიჩმენტის მოწყობის მომხრეა

**საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის გზით გადაყენების საორგანიზაციო ჯგუფმა აღნიშნულ ინიციატივასთან დაკავშირებით საზოგადოებრივ მოძრაობა „სოლიდარობა – უკანონო პატიმრებს“ ლიდერ ეკა ბესელიასთან კონსულტაცია გამართა.**



საორგანიზაციო ჯგუფმა ეკა ბესელიას პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურები გააცნო და საუბარი შეეხო იმპიჩმენტის ტექსტის პროექტს, რომელზეც ხელმოწერები სექტემბრიდან დაიწყება. შეხვედრაზე საუბარი შეეხო მოქმედი პრეზიდენტის იმპიჩმენტის შესაძლებლობას. რეფერენდუმის გზით ან სახალხო წარმომადგენლობით კრებაზე, რომელიც ასევე შემოდგომაზე უნდა ჩატარდეს.

როგორც საორგანიზაციო ჯგუფის წარმომადგენელმა მოძრაობა „თეთრების“ ლიდერმა თემურ შაშიაშვილმა განაცხადა, პრეზიდენტის იმპიჩმენტი, შექმნილ პოლიტიკურ კრიზისში, ქვეყნისთვის ერთადერთი სწორი სამართლებრივი გამოსავალი იქნება. ჯერ პოლიტიკური ძალები კაბინეტებში უნდა შეთანხმდნენ იმპიჩმენტთან დაკავშირებულ პროცესთან მიმართებაში, ხოლო შემდგომ საზოგადოება ისევ უნდა გავიდეს ქუჩაში თუ სტადიონებზე. პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცესი საზოგადოებამ უნდა წარმართოს და ქართველი პოლიტიკოსები ამ პროცესის მხოლოდ მხარდამჭერები იყვნენ.

მოძრაობა „სოლიდარობა – უკანონო პატიმრებს“ ლიდერი ეკა ბესელიას შეფასებით, საორგანიზაციო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ინიციატივები იყო საინტერესო და პრობლემის გადაწყვეტის სწორი ძიება, რომლის გარშემოც სამოქალაქო საზოგადოება უნდა გაერთიანდეს.

ეკა ბესელიას თქმით, პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი სამოქალაქო ღირსების საკითხია და ამ პროცესში ხალხის გადაწყვეტილებას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. მისივე განცხადებით, საჭიროა პროცესის სწორი ორგანიზება და პროგნოზირება, რომელშიც „სოლიდარობა – უკანონო პატიმრებს“ აქტიურ მონაწილეობას მიიღებს.

ინფორმაცია

## ცრუ ბრალდებებით დაკავებული ადვოკატის ჩარევით გათავისუფლდა

**იურიდიული დახმარების სამსახურის კახეთის ბიუროს ადვოკატის გია ფარადაშვილის ძალისხმევით, ყაჩაღობაში ბრალდებული გიორგი ო.-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა. საზოგადოებრივი ადვოკატის დაცვის ქვეშ მყოფს ბრალად ედებოდა ბინაში უკანონო შეღწევით ყაჩაღობის ჩადენა, რაც სასჯელის სახით რვიდან თორმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ამასთან, გიორგი ო. იყო ნასამართლევი და სხვისი ქონების მითვისებისა და გაფლანგვისათვის პირობით სასჯელს იხდიდა.**

როგორც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროდან იტყობინებიან სისხლის სამართლის საქმის მასალების მიხედვით, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა გიორგი ო.-მ, თანხის დაუფლების მიზნით, გურჯაანში მცხოვრები ზეინაბ მ.-ს დაყაჩაღება გადაწყვიტა. ბრალდებულმა უკანონოდ შეაღწია დაზარალებულის საცხოვრებელ სახლში და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ზეინაბ მ.-სგან ფულს ითხოვდა. ეს პროცესი 15-20 წუთს გაგრძელდა. ამ დროს გიორგი ო.-ს ქუჩიდან შემოესმა ხმაური და იგი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

საქმეში ჩართვის შემდეგ, გია ფარადაშვილი გაესაუბრა ბრალდებულს და საქმის მასალების შესწავლა დაიწყო. როგორც აღმოჩნდა, გიორგი ო.-ს გააჩნდა ალიბი, რომელიც მის უდანაშაულობას ადასტურებდა. კერძოდ, დანაშაულის ჩადენის დროს იგი იმყოფებოდა მეზობელ სოფელ შაშიანში, სადაც ჯერ იქეიფა, შემდეგ დაიძინა და გამთენიისას ფეხით გაემართა სახლისკენ - სოფელ ჩუმლაყში.

ამის შემდეგ, საზოგადოებრივმა ადვოკატმა მოითხოვა იმ პირთა დაკითხვა, რომლებიც გიორგი ო.-ს ალიბის უტყუარობას დაადასტურებდნენ. სწორედ ამ პირთა ჩვენებებმა დაარწმუნეს ბრალდების მხარე გია ფარადაშვილის დაცვის ქვეშ მყოფის უდანაშაულობაში. საბოლოოდ, გიორგი ო. გაათავისუფლეს და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები მიმდინარე წელს 5000-მდე სისხლის სამართლის საქმეში ჩაერთვნენ. აქედან 100-ზე მეტი საქმე საზოგადოებრივი ადვოკატების დაცვის ქვეშ მყოფთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტით დასრულდა.

## ლეიბორისტები მობილურზე ტარიფების შემცირებას ითხოვენ

**ლეიბორისტული პარტია ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიებს მობილური სატელეფონო საუბრების ტარიფის 7 თეთრით შემცირებისკენ მოუწოდებს და აცხადებს, რომ მათი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში კომპანიების ოფისებთან და მათი მფლობელების სახლებთან პერმანენტულ საპროტესტო აქციებს გამართავენ.**

როგორც პრესკონფერენციაზე პარტიის იდეოლოგიურმა მდივანმა კახა ძაგანიამ განმარტა, პირველ აგვისტოს კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, მობილურ ოპერატორებზე ურთიერთჩართვის ტარიფი 7 თეთრით შემცირდა.

– ამ გადწყვეტილების მიღებისთანავე, სატელეფონო საუბრების ტარიფიც 7 თეთრით უნდა შემცირებულიყო, მაგრამ როგორც ჩანს, ამ კომპანიებმა კიდევ უფრო ბევრი ფულის გაკეთება გადაწყვიტეს და ტარიფის შემცირებას არ აპირებენ. ლეიბორისტული პარტია „ბილაინს“, „მაგთისა“ და „ჯეოსელს“ ჩვენი მოთხოვნის შესასრულებლად ერთი კვირის ვადას აძლევს, წინააღმდეგ შემთხვევაში პერმანენტულ აქციებს გავმართავთ, როგორც მათ ოფისებთან მთელი საქართველოს მასშტაბით, ისე ამ კომპანიების მფლობელების სახლებთან, – განაცხადა პრესკონფერენციაზე კახა ძაგანიამ.

მისივე თქმით, აღნიშნული კომპანიები ტარიფს ხელისუფლების იმედად არ ამცირებენ, რადგან „ბილაინის“ ერთ-ერთი მეწილე მიხეილ სააკაშვილის ოჯახია, ხოლო დანარჩენი ორი კომპანია „ნაციონალური მოძრაობის“ მუდმივი დამფინანსებელია.

ჯი-ეიჩ-ენი

◉ რას იტყვის ხალხი?

# ეგრე არ არის, თაყაო?!

## როცა გალმით შემდავებელი ცდილობს, რომ როგორმე გამოლმა შერჩეს

***მკითხველთან ბოდიშს ვიხდი ჩემივე ნაწერის მოხმობა-დამოწმებისათვის, მაგრამ აუცილებელია და რა ვქნა? — „საქართველოს რესპუბლიკის“ გუშინდელ ნომერში დაიბეჭდა ჩემი წერილი „აბა, სხვა რაა მოსყიდვა, ქრთამი?“ . მასში ვამბობ, რომ მაშინ, როდესაც დაქუცმაცებულ-ოკუპირებულ ქვეყანაში ტოტალური უმუშევრობა-უიმედობაა, როდესაც მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი სიღარიბის კი არა, სიღატაკის ზღვარს მიღმაც ცოცხლობს (და არა ცხოვრობს!), როდესაც ლამის ყოველ ნაბიჯზე გამათხოვრებული უპოვარი ადამიანი დგას ხელგაწვდილი და ა. შ., დაუშვებლად მიმაჩნია საჯარო სამსახურის თუ ძალოვანი და მაკონტროლებელი სტრუქტურების თანამშრომელ-მუშაკთათვის გაუმართლებლად მაღალი ხელფასების დანიშვნა, რაც ხელისუფლებისგან მათი მოსყიდვის მცდელობასაც წააგავს.***

დავწერე და მეორე დღესვე თითქოს ცხადად შემომესმა გაზეთ „ახალ თაობაში“ ამოკითხული გალიზიანებული შეძახილი, — ეგრე არ არის თაყაო, შენ რომ მამული გაყაო, ანუო...

**... თუმცა სჯობს უცვლელად მოვიტანო მისი ნათქვამი: „დამერწმუნეთ, რომ ჩვენ ვამართლებთ იმ ხელფასს, რომელსაც ვიღებთ“.**

არ გაინტერესებთ, მკითხველო, ვის ეკუთვნის ეს მარგალიტივით სიტყვები?

ვის და, გიორგი ტუღუშს, სახალხო დამცველს.

**როდესაც ამას ამბობთ, უფალო სახალხო დამცველო, იმ ხალხის აზრი არ გაინტერესებთ, რომელსაც წესით უნდა იცავდეთ?**

წესით-მეთქი, იმად ვამბობ, რომ რაღაც არ მსმენია თქვენს მიერ უსამართლოდ დაჩაგრული ხალხის დაცვის რამდენადმე მაინც გახმაურებული ფაქტების თაობაზე, იმაზე, რომ ამ მიზნით უშიშრად დაუპირისპირდით გაყვინიზებული ხელისუფლების ნებისმიერი შტოს წარმომადგენლებს ისე, როგორც ამას თქვენი წინამორბედი აკეთებდა!

**ხოლო თუ ასეთ რამეს მართლაც აკეთებთ, თანაც უხმაუროდ, ბარაქალა თქვენ. მე კი ბოდიშს მოგიხდით.**

თუმცა როგორც გინდა იყოს, გაუბედურებულ-გამათხოვრებული ადამიანების გასაღიზიანებლად ამის თქმა, ჩემი აზრით, სულ მცირე, უზნეობა მაინცაა, ბატონო გიორგი.

**თუ თქვენც, ჩვენი ხელისუფლების დარად, თვლით, რომ ხალხი გაუბედურებულ-გამათხოვრებულია კი არა, მართლაც იმ სამოთხისდარ პირობებში ცხოვრობს, რომელი სამოთხეც მისთვის თურმე ხელისუფლებას შეუქმნია?**

ორად-ორ მაგალითს მოგახსენებთ მხოლოდ, ბატონო გიორგი.

ამას წინათ სამეგრელოს ერთ ლამაზ, იმ „საზიზღარი“ კომუნისტების დროს აყვავებულ, ამჟამად კი... თქმაც არ მინდა, ისეთ სოფელში ვიყავი ახლობლის მამის დაკრძალვაზე...

მოგეხსენებათ, ბატონო გიორგი, როგორი საოცარი თანადგომა იცოდნენ და ახლაც იციან სოფლად ჭირისა თუ ლხინის სუფრის გაწყობისას.

და როდესაც მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად რამდენიმე ჭიქის ასაწევად მიგვიპატიჟეს, საოცარი რამ შევნიშნე: **სუფრას სულ ორი კინკილა მოსწავლე გოგონა ემსახურებოდა, დანარჩენები მამაკაცები იყვნენ — მაგიდების გამწყობებიც და ჭიქა-თეფშების მრეცხავებიც.**

იმ კუთხის ქალები კი თურმე ან თბილისში ყოფილან წასული სავაჭროდ, ან



თურქეთ-საბერძნეთ, იტალიასა თუ სხვა ქვეყნებში, რათა იქ მოსამსახურედ მუშაობის ან დავრდომილი მოხუცების მოვლისთვის მიღებული ფულით აქ როგორმე თავიანთი ოჯახები არჩინონ!

**ქართული ოჯახის და ამ ოჯახში ქართველი მამაკაცის როლის მეტი დაკნინება იქნება?**

ეს არაფერს მიგანიშნებთ, ბატონო გიორგი?

ახლა მეორე მაგალითი: კახეთში ჩასული ჩემი მეგობარი ადრე ბარაქით ცნობილ ველისციხის ბაზარში მისულა დილით. ათი საათისთვის თითქმის ცარიელი დახვედრია იქაურობა.

**— არც გასაყიდი აქვს ხალხს ბევრი რამ და არც ფული მის საყიდლადო, — აუხსნიათ გაოგნებულისთვის.**

არც ეს გეუბნებათ არაფერს, თქვენი **მაღალი ხელფასის გამმართლებელო,** უფალო სახალხო დამცველო?

**თუმცა, როგორც ამბობენ, კაცს რომ შუბლზე ერთი რამის ძარღვი გაუწყდება...**

**არ მინდა ვიფიქრო, რომ თქვენც ასეთი ხართ, ბატონო გიორგი.**

**არც ის, სხვათა შორის, რომ გალმით შედავების მოსურნეს ამჟამად გამოლმა შეგრჩეთ.**

**დროებით კი შეიძლება ასეც მოხდეს, მაგრამ ჩვენც, პეპლებივით, მარტო ერთი დღით ხომ არ ვცოცხლობთ!**

**არც რომელიმე ხელისუფლება ყოფილა მუდმივი.**

**მარადიული მხოლოდ ხალხია და, ამდენად, მთავარიც მხოლოდ ის არის, თუ რას იტყვის იგი — მისი უდიდებულესობა ხალხი!**

**რუსლან რუსია**

◉ ინფორმაცია

## ბუს რა ჰქონდა, ყვავს გაჰქონდა

**ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის ხელმძღვანელის ედუარდ კოკოითის განკარგულებით, ე.წ. სამხრეთ ოსეთში სპეციალური პუნქტები გაიხსნება, რომლებშიც ხანძრით დაზარალებული რუსებისთვის ჰუმანიტარული დახმარება შეგროვდება.**

**კოკოითის ადმინისტრაციის განმარტებით, ჰუმანიტარული დახმარების შეგროვების სურვილი თავად ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობამ გამოთქვა. ტვირთი რუსეთში სპეციალური ავტოკოლონით გაიგზავნება.**

**რუსეთში ხანძარმა, დაახლოებით, 500 ათასი ჰექტარი მოიცვა და მას 40 ადამიანი შეეწირა.**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ ხელყოფილი ძირითადი კანონი

***სტატიის ასეთი სათაური ზოგიერთს შეიძლება ცოტა უცნაურად მოეჩვენოს, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. სინამდვილეში კი ავტორს ის სავსებით ლოგიკურ კონსტრუქციად მიაჩნია, რამეთუ სურს, რომ საზოგადოების ყურადღება მიაპყროს ამჟამად ჩვენს ქვეყანაში საჯარო განხილვისათვის გამოტანილ ახალი კონსტიტუციის პროექტს, სადაც არაფერია ნათქვამი ქვეყანაში მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ჩატარების შესახებ. მერედა რა მოხდაო? — იკითხავს ბევრი რიგითი მკითხველი. განა რა აუცილებელია, რომ მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ჩატარება-არჩატარების საკითხი მაინც და მაინც ქვეყნის კონსტიტუციაში იყოს ასახული? მართლაცდა, ქვეყნების უმეტესობაში ეს საკითხი კონსტიტუციით კი არა, არამედ ჩვეულებრივი კანონებით რეგულირდება. თუმცა, არის სხვა მაგალითებიც. კერძოდ, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის, ამერიკის შეერთებული შტატების, ჯერ კიდევ 1787 წელს მიღებულ კონსტიტუციაში აღწერის ჩატარების საკითხი დღემდე უცვლელი ნორმის სახით არის შემორჩენილი, სადაც ვკითხულობთ — „შტატების ფაქტობრივი მოსახლეობის აღრიცხვა ჩატარდება ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის პირველი სესიის მომდევნო სამი წლის განმავლობაში, ხოლო შემდეგ ყოველ ათ წელიწადში იმ წესით, რომელიც კანონით იქნება დადგენილი“ (სტატია 1 განყოფილება 2). და თქვენ წარმოიდგინეთ ეს „შემდეგ“ უკვე 200 წელზე მეტია არცერთხელ არ დარღვეულა და 1790 წლიდან მოყოლებული, აშშ მართლაც ყოველ 10 წელიწადში (0-ზე დაბოლოებულ წელს) ატარებს მოსახლეობის საყოველთაო აღწერას. თავის დროზე აშშ-ს კონსტიტუციაში ეს ნორმა იმ მიზნით ჩაიდო, რომ თითოეული შტატიდან წარმომადგენელთა პალატაში კონგრესმენთა ადგილები და ცენტრალურ ბიუჯეტში პირდაპირი გადასახადები მოსახლეობის რიცხვის მიხედვით სამართლიანად გადანაწილებულიყო. კერძოდ, ამავე კონსტიტუციაში დადგენილია, რომ ყოველ 30 ათას მცხოვრებზე კონგრესში უნდა იყოს ერთი წარმომადგენელი ... (როგორც ჩანს, სწორედ ამ უკანასკნელი ნორმის საფუძველზე შემცირდა ჩვენთანაც პარლამენტის დეპუტატთა რიცხვი 250-დან 150-მდე, რადგანაც საქართველოს ფაქტობრივი მოსახლეობა (4,5 მლნ.) აღნიშნული ნორმის (30 000) გათვალისწინებით ზუსტად (4,5 მლნ. : 30 000) 150 დეპუტატს საჭიროებს.***

# რა, არ აღვწეროთ მოსახლეობა?!

იმისთვის რომ უფრო გასაგები გახდეს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ჩატარების კონსტიტუციით დარეგულირების საკითხი, ვიტყვით, რომ მრავალი ევროპული ქვეყნის მსგავსად, დღემდე, საქართველოში ამას არეგულირებდა 2001 წლის 12 ოქტომბერს მიღებული კანონი „საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შესახებ.“ თავისი არასრულყოფილების მიუხედავად (მაგალითად, ამ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით — „აღწერის თარიღი და კრიტიკული მომენტი თითოეული აღწერისათვის (მიკრო აღწერის ჩათვლით) დგინდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, აღწერის სავარაუდო თარიღამდე არა უგვიანეს 4 წლისა“), ის მაინც სპეციალიზებული კანონი იყო, რომელიც მოსახლეობის აღწერის ჩატარების ბევრ მეთოდოლოგიურ საკითხს არეგულირებდა. მაგრამ რად გინდა ... მოახლოვდა თუ არა თავისი არსით სრულიად არაპოლიტიკური ღონისძიების — მოსახლეობის საყოველთაო აღწერის, ჩატარების თარიღი, მან მაშინვე პოლიტიკური შეფერილობა მიიღო და ჩაიშალა კიდეც უკვე დანიშნული აღწერის ჩატარება.

როგორც აღნიშნული კანონით იყო გათვალისწინებული, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 6 დეკემბრის №1026 ბრძანებულებით საქართველოს მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა დაინიშნა 2010 წლის 21-28 იანვარს. უკვე 2006 წლის 27 იანვრის №81 ბრძანებულებით კი შეიქმნა საქართველოს მოსახლეობისა და საცხოვრისების 2010 წლის საყოველთაო აღწერის საორგანიზაციო სახელმწიფო კომისია, რომლის 21-კაციანი შემადგენლობის ცვლილებებთან დაკავშირებით 2007 წლის 12 ივლისის №422 ბრძანებულებით დამტკიცდა 24-კაციანი შემადგენლობა, ხოლო 2009 წლის 9 მარტის №96 ბრძანებულებით კვლავ მოხდა ამ 24-კაციანი სახელმწიფო კომისიის შემადგენლობის გადახალისება.

ანუ ეს ნიშნავს, რომ 2006 წლიდან დაწყებული აღწერის მოსამზადებელი სამუშაოები 2009 წლის მარტამდე ნორმალური გრაფიკით მიმდინარეობდა და მის ჩატარებას არავითარი საფრთხე (მათ შორის არც ფინანსური) არ ემუქრებოდა. მაშ რა მოხდა 2009 წლის მარტის (ანუ დანიშნულ აღწერამდე ცხრა თვით ადრე) შემდგომ ისეთი, რამაც 2010 წლის აღწერის ჩაუტარებლობა (ანუ გაურკვეველი ვადით გადადება) გამოიწვია? **პასუხი მარტივია, ამის მიზეზი იმ პოლიტიკურ სიტუაციაში უნდა ვეძებოთ, რომელმაც (2009 წლის აპრილ-აგვისტოს მრავალათასიანი საპროტესტო გამოსვლები) 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების დანიშვნა განაპირობა. ასეთ სიტუაციაში კი, არჩევნების გაყალბებაში არაერთხელ შემჩნეულ ხელისუფლებას ნამდვილად ხელს არ აძლევდა ობიექტური მონაცემები ქვეყანაში რეალურად მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობისა და შემადგენლობის (უპირველეს ყოვლისა კი ამომრჩეველთა რაოდენობის) შესახებ (მაგალითად, ჩვენი აზრით სწორედ აქეთკენ იყო მიმართული პრეზიდენტის მიერ არჩევნებამდე ორიოდე თვით ადრე გაკეთებული განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ „2009 წელს საქართველოში 164 ათასი ადამიანით მეტი ჩამოვიდა, ვიდრე აქედან გავიდაო.“ რბილად რომ ვთქვათ, ეს ფაქტი არ შეესაბამება სინამდვილეს და, ჩვენი აზრით, ამომრჩეველთა სიების უსაფუძვლოდ გაზრდის გამართლებას ისახავდა მიზნად. გარდა ამისა, ამ ცნობით, ხელისუფლება ცდილობდა მოსახლეობა დაერწმუნებინა, რომ მისი ექვსწლიანი მმართველობის შემდეგ აქ ისე კარგად მიდის საქმე, რომ საქართველოდან ადრე წასული მოსახლეობა ასე მასობრივად ბრუნდება უკანო, და სურდა შეექმნა მისთვის ჩვეული, „ვირტუალური კეთილდღეობის“ ილუზია).**

ჩვენი აზრით, სწორედ ამ პოლიტიკურმა ფაქტორმა განაპირობა 2010 წლის უკვე დანიშნული აღწერის არჩატარება (გადატანა), და ამიტომაცაა, რომ ხელისუფლებამ ვერც ერთი დამაჯერებელი არგუმენტით ვერ დაარწმუნა საზოგადოება, თუ რატომ გადაიდო საქართველოს მოსახლეობის 2010 წლის საყოველთაო აღწერა, რაც ჩვენს ქვეყანას აძლევდა შანსს, რომ ქვეყნის ისტორიაში პირველად ჩაგვეტარებინა აღწერა 0-ზე დაბოლოებულ წელს, რითაც ჩავერთვებოდით ე.წ. „მსოფლიო აღწერების“ ათწლიან ციკლში და კიდევ ერთ ნაბიჯს გადავდგამდით ცივილიზაციისაკენ მიმავალ გზაზე, რამეთუ განვითარებული ქვეყნების უმეტესობა, აღწერას, გაეროს რეკომენდაციების შესაბამისად, სწორედ 0-ზე დაბოლოებულ წლებში ატარებს. სხვათა შორის, ცივილიზებულ სამყაროში მოსახლეობის აღწერების რეგულარულად ჩატარება ქვეყნის დემოკრატიულობის ერთ-ერთ კრიტერიუმადაც კი მიიჩნევა. მაგრამ ჩვენთან, სადაც დემოკრატიაზე უფრო მეტი საუბარია, ვიდრე რეალურად დემოკრატია, გასაკვირი არ არის, რომ იგნორირებულ იქნა კანონიერად დანიშნული მოსახლეობის აღწერის ჩატარების საკითხი, რადგანაც არჩევნების წინ მან აშკარად პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა. და ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც ყველა ქვეყანაში, ნებისმიერი დონის არჩევნების წინ, როგორც წესი, წინა პლანზე იწევს და ზოგჯერ პოლიტიკურ შეფერილობასაც იძენს ხოლმე დემოგრაფიული პრობლემატიკა. ეს მით უფრო ეხება იმ ქვეყნებს, სადაც დემოგრაფიული ვითარება კრიზისულია და ამიტომაც პრობლემების სიმწვავე ობიექტურად იძლევა მათი პოლიტიზების საფუძველს.

იხ. 4 გვ.

კონსტიტუცია

# დემეტრაშვილის უწყებამ შერეული კი არა, არეული კონსტიტუციის მოდელი შემოგვთავაზა



## თუ ეს კანონპროექტი დამტკიცდება, ამაში მხოლოდ საზოგადოება იქნება დამნაშავე

*ახალი კონსტიტუციის შესახებ მსჯელობისა და „სახალხო განხილვის“ პროცესი დაიწყო. მაგრამ ეს სულაც არ მიაჩნიათ იმედისმომცემად საქართველოში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს, პირიქით. სასტუმრო „თბილისი-მარიოტში“ რამდენიმე ადამიანის უფლებათა დამცველმა მოიყარა თავი და იმ სავარაუდო ბერკეტებზე ისაუბრა, რომლებიც ამ პროცესის დაყოვნებას შეძლებს.*

*ჩვენ გვესაუბრება საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის ერთ-ერთი წევრი ნინო ციხისთავი, რომელიც ამ შეხვედრაზე იმყოფებოდა.*

**— ქალბატონო ნინო, რატომ გახდა აუცილებელი არასამთავრობოთა შეკრება ამ ცხელ ზაფხულს და რატომ გგონიათ, რომ ვინმე სააკაშვილის ინიცირებულ და უკვე მოწონებულ კონსტიტუციას შეცვლის?**

— ასეთი პესიმისტური განწყობა ბევრს აქვს, მაგრამ ასე არ შეიძლება. გულხელდაკრეფილები ვერ დავსხდებით და ვერ ვუყურებთ, როგორ ირგებენ საკუთარ ტანზე კონსტიტუციას. თუკი კიდევ ვინმე არის დარჩენილი ამ ცხელ აგვისტოში თბილისში, ცოტა ხანში ისინიც გაიკრიფებიან. კონსტიტუციის განხილვისა და მიღების პროცესი კი შეგნებულად სწორედ ყველაზე „მკვდარ“ სეზონს დაამთხვიეს. ამის მიუხედავად „თბილისი-მარიოტში“ 40-მდე არასამთავრობო ორგანიზაციამ მოიყარა თავი. „კანონი ხალხისთვის“ ხელმძღვანელის ზაქარია ქუცნაშვილის თაოსნობით. დიდი ხნის მსჯელობის შემდეგ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ვინაიდან ხელისუფლება ახალი კონსტიტუციის მიღებას ძალიან ჩქარობს, ჩვენი საპასუხო ქმედებებიც ეფექტიანი უნდა იყოს.

**— და რა შეთანხმებას მიაღწიეთ?**

— ღია განცხადება მივიღეთ იმის შესახებ, რომ მოხდეს კონსტიტუციის სახალხო განხილვა, როგორც მას ხელისუფლება უწოდებს და ეს პროცესი გაგრძელდეს არა რამდენიმე დღე, არამედ ოთხი თვე მაინც. თუ არადა, ამ ფორმით განხილვა ნამდვილად არ შეესაბამება სახელს — „სახალხო განხილვა“. პროცესი ხდება ფორსირებულად, ზაფხულის სეზონში, როცა პრაქტიკულად დაცლილია თბილისი.

**— მაგრამ განხილვა თითქოს ყველა თვითმმართველობაში უნდა მოხდეს და არა მხოლოდ თბილისში.**

— საქმე ისაა, რომ სახალხო განხილვა ერთ თვეში წარმოუდგენელია. ამას სჭირდება დრო. სწორედ ამიტომ ვითხოვთ ოთხ თვეს კონსტიტუციაზე სამსჯელოდ.

**— შეხვედრაზე საუბარი იყო კონსტიტუციის იმ ალტერნატიულ ვარიანტზეც, რომელიც საზოგადოებრივმა საკონსტიტუციო საბჭომ მოამზადა.**

— დიახ, ეს ვარიანტი არსებობს, ამიტომ არ შეიძლება ხელისუფლებამ მას აბსოლუტური იგნორირება გაუკეთოს. თუკი განხილვაა, საზოგადოებას არჩევანის საშუალება უნდა მისცე, რათა თანაბრად მოხდეს ვარიანტების შესახებ მსჯელობა. მაგრამ მთავარი პრობლემა კიდევ სხვა რამეა — როცა ხელისუფლების მოწყობის ინსტიტუტი იცვლება და სრულიად ახალი კანონის მიღება უწევს საზოგადოებას, მას უფლება აქვს იცოდეს, რატომ იცვლება კონსტიტუცია, რა აუცილებლობა იწვევს საკონსტიტუციო რეფორმას. როგორც ამბობენ, საპრეზიდენტოდან შერეულ მოდელზე გადავდივართ, ხომ უნდა იცოდეს ხალხმა, რისთვის ხდება ეს, რა მოაქვს მას უკეთესი, რატომ იყო საჭირო ასეთი სერიოზული საკონსტიტუციო ცვლილება. საზოგადოებისთვის არავის აუხსნია, რა იყო წინა მოდელის პრობლემა და რითი უნდა ჩაანაცვლონ ის. ცვლილებების შეტანა ხდება ნორმატიული აქტების საფუძველზე, მაგრამ არ არის დართული წინმსწრები, ანუ კონსტიტუცია (რისი ვალდებულებაც ხელისუფლებას აქვსძ, ახსნა-განმარტება მოსახლეობისთვის არავის მიუცია.

2004 წელსაც ფორსირებულად, ასე ერთი ხელის მოსმით, სასწრაფოდ მიიღეს ცვლილებები, არც მაშინ მოჰყოლია ამ ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს ახსნა-განმარტებები, მაგრამ ახლა ვიმკით ნეგატიურ ცვლილებებს, ამან მოგვიტანა პოლიტიკური კრიზისები. ამჯერად ხელმოწერილი მოთხოვნის ტექსტი იმის შესახებ, რომ ოთხი თვე გაგრძელდეს კონსტიტუციის განხილვის პროცესი, გავუგზავნეთ პარლამენტს, ყველა საელჩოს, ვენეციის კომისიას... სექტემბერში კი თავს მოვიყრით „საზოგადოებრივ დარბაზში“ — ეს იქნება დიდი ორგანიზაცია, რომლის კარი ყველასთვის გაიღება და აქ მოხდება კონსტიტუციის პროექტის საჯარო განხილვა. ხალხმა უნდა გააკეთოს არჩევანი, თუ რატომ უნდა ცვლილებები, როგორი რეფორმები უნდა და რა შედეგი უნდა მოიტანოს მან. სხვათა შორის, საინტერესო გამონათქვამები ისმოდა შეხვედრაზე, რომელიც „თბილისი-მარიოტში“ მოეწყო. ერთნი ამბობდნენ, საკონსტიტუციო ცვლილება — ეს არის ხელშეკრულება ერთი ადამიანის დასასაქმებლადო, მეორენი ამბობდნენ, ეს არის არა შერეული, არამედ საერთოდ არეული მოდელიო და ა. შ. ანუ, როცა ამხელა უკმაყოფილებას იწვევს საკონსტიტუციო ცვლილებები, ხელისუფლებამ საზოგადოების აზრს ანგარიში უნდა გაუწიოს.

**— პარლამენტი საზაფხულო არდადეგებზე იმყოფება. როგორ გგონიათ, ვინმე გაუწევს თქვენს მოთხოვნას ანგარიშს, ანკი იქნება რეაგირება, როგორი მკაცრიც არ უნდა იყოს არასამთავრობოთა ტონი?**

— დიახ, ამასაც ვითვალისწინებთ, მაგრამ უმოქმედობა უარესია. ამიტომ მივიჩნევთ საჭიროდ ამ პროცესში დიპლომატიური კორპუსის ჩართვას, ყველა საელჩოს დაეგზავნება ჩვენი მოთხოვნები, ასევე დაეგზავნება ყველა იმ საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც კი ოდნავ ზეგავლენას მაინც ახდენს პოლიტიკურ სახელისუფლებო ელიტაზე.

**— რატომ არ არის ოპოზიცია აქტიური? თუ იყო ეს არასამთავრობოთა მსჯელობის საგანი?**

— რა თქმა უნდა. მათი მისამართით კრიტიკა ძალიან ბევრი იყო. მაგრამ ოპოზიციისა გვესმის... პოლიტიკურმა პარტიებმა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შექმნისთანავე გამოაცხადეს მის მიმართ უნდობლობა. ამიტომ ოპოზიციური პარტიებისთვის შედეგი მოულოდნელი არ ყოფილა.

**— ამიტომ ბრძოლას აზრი არა აქვს?**

— თქვენ ალბათ გახსოვთ, რომ ერთი კვირის წინათ საზოგადოებრივმა კომისიამ მოუწოდა პრეზიდენტს, უკან გაეტანა კანონპროექტი, რადგან ის ლაფსუსებით იყო სავსე, რასაც რეაქცია არ მოჰყოლია. კონსტიტუციის ეს პროექტი ვიცით, რომ აუცილებლად მოუტანს საქართველოს უბედურებას, ამიტომ არ შეიძლება ასე „ჰარიჰარალოდ“ ამის გატანა, პროცესს სრულიად ფორმალური სახე აქვს და რეალურ სასიკეთო ცვლილებებს მიზნად არ ისახავს. ქუჩაში გამვლელი ყოველი ადამიანი, ან ყოველი მეორე მაინც გეტყვით, რომ საკონსტიტუციო პროცესზე სმენიათ, მაგრამ კონკრეტულად რა უნდა შეიცვალოს და რა მიზანს ემსახურება ცვლილება, ვერავინ გეტყვით, ამის შესახებ მოქალაქეებმა არ იციან.

**— შეიძლება თუ არა, მოქალაქეებმა მარტივად დასვან კითხვა რომელიმე საკითხის შესახებ, ან რეფერენდუმზე გაიტანონ კონსტიტუციის ცვლილების თემა?**

— არ შეიძლება რეფერენდუმზე გატანა, რადგან კონსტიტუცია სხვადასხვა საკითხს მოიცავს. ეს ეხება არა მხოლოდ ხელისუფლების შტოებს შორის ძალთა ბალანსს, იქ საუბარი უნდა იყოს (ჩვენ მიერ შემუშავებულ კონსტიტუციაში არის კიდეცძ სოციალურ საკითხებზე, ეკონომიკაზე, განათლებაზე, ადამიანის უფლებებზე, ეს არის მთელი წყება, რომელთა ერთ შეკითხვაში მოქცევა შეუძლებელია.

**— რატომღაც საზოგადოებას „ტვინს უბურღავს“ ერთი მარტივი კითხვა — როგორ უნდა მოვიდეს, ან არ მოვიდეს სააკაშვილი პრემიერ-მინისტრად, მაგრამ სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიცაა, რომელთა უგულებელყოფა არ შეიძლება.**

— რა თქმა უნდა, ძლევამოსილი პრემიერ-მინისტრის თემა მნიშვნელოვანია, მაგრამ კიდევ უფრო საინტერესოა ის, რომ პარლამენტი უუფლებო რჩება, საპარლამენტო ოპოზიციას არანაირი ბერკეტი არ ექნება რაიმე ზეგავლენის მოსახდენად. და რაღა განსხვავებაა უბრალო მოქალაქესა და პარლამენტარს შორის, თუ ის საქვეყნო მნიშვნელობის საკითხების გატანას ვერ შეძლებს?! რჩება მხოლოდ ქუჩაში გამოსვლა და ყვირილი. ასევე ახალი კონსტიტუციით პრაქტიკულად აღარ არსებობს პრეზიდენტის იმპიჩმენტი. ამ ინსტრუმენტის გარეშე რჩება პარლამენტი და საზოგადოება.

**— იმპიჩმენტი არც არასოდეს გამოგვიყენებია, ყოველთვის სხვა მეთოდებს მივმართავდით...**

— არ გამოგვიყენებია, მაგრამ ახლა შესაძლებლობაც აღარ რჩება საამისოდ. პრობლემაა ისიც, რომ სრულებით ამოგდებულია ორგანული კანონის ცნება, რაც კატასტროფაა. როგორც კი მავანს მოესურვება, აღმასრულებელ ხელისუფალს უფლება აქვს, პარლამენტი დაითხოვოს.

**— ანუ რაღა მნიშვნელობა აქვს, ხალხი აირჩევს დეპუტატებს თუ არა, თუკი მათ მინისტრები დაიწუნებენ... და გაყრიან.**

— დიახ, როგორც კი მთავრობის ნებას არ დაყვება პარლამენტი, დაითხოვენ. ჩვენ კვლავ დანიშნული გუბერნატორები გვეყოლება... მოკლედ, ძალიან ბევრი საკითხია, რომელთა პრიორიტეტად წარმოჩენა არ შეიძლება, ყველა ერთნაირად მტკივნეულია.

**— ახალ კონსტიტუციაში არაფერია ნათქვამი საარჩევნო სისტემის ცვლილებაზეც...**

— საარჩევნო გარემო იგივე რჩება, არაფერი იცვლება. კვლავ ხელმიუწვდომელი იქნება ჩვენთვის სამართლიანი არჩევნები. მაშინ, რა აზრი აქვს კონსტიტუციის შეცვლას, მხოლოდ იმისათვის, რომ ძლევამოსილი პრემიერ-მინისტრი გვყავდეს?! კონსტიტუციის შინაარსი და მისი მიღების პროცესი ძალიან დიდ შეშფოთებას იწვევს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ.

**— და ამაში მხოლოდ სააკაშვილია დამნაშავე, რომელმაც ეს ყველაფერი ასე ზედმიწევნით კარგად დაგეგმა თავის სასარგებლოდ?**

— ამაში დამნაშავე თავად საზოგადოება იქნება, თუ ამ კონსტიტუციამ დღის სინათლე იხილა და ისეთი დამტკიცდა, როგორიც დღეს კანონპროექტის სახით გვაქვს. ჩვენ ცხვრებივით თავი არ უნდა დავხაროთ.

**— მხოლოდ ღია ხელმოწერების შეგროვება ვერ იქნება ეფექტიანი ინსტრუმენტი..**

— ერთ-ერთი მაინც იქნება. თუკი 200 ათასზე მეტი ხელმოწერა შევა პარლამენტში, ის ვალდებული გახდება, იმსჯელოს ამ საკითხზე და არა მარტო მთავრობის, არამედ ჩვენს შეთავაზებულ კანონპროექტზეც.

**— რას იტყვით ქუჩიდან ბრძოლის მეთოდებზე?**

— ეს არ არის არასამთავრობო ორგანიზაციების საქმე. ჩვენ გვევალება წერა, რეაგირება, საერთაშორისო საზოგადოების, ჩვენი პარტნიორების ინფორმირება. ჩვენ უნდა ვაიძულოთ პარლამენტი, სხვა ვარიანტიც განიხილოს. წინ სერიოზული ცხელი ზაფხული გველოდება.

**— თუ მოესწრება თქვენი გეგმების განხორციელება იქამდე, ვიდრე პარლამენტი კონსტიტუციას მიიღებს?**

— უნდა მოვასწროთ. 24 აგვისტოს პარლამენტმა რომც მიიღოს კონსტიტუცია, ეს ცვლილებები ძალაში კონკრეტული პერიოდის შემდეგ უნდა შევიდეს. ამიტომ სანამ კონსტიტუცია საბოლოო სახეს მიიღებს, ჩვენ ხელმოწერების შეგროვება უნდა მოვასწროთ და არ მივცეთ უფლება, სხვა ვარიანტის განხილვის გარეშე დაამტკიცონ ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი კანონი.

ესაუბრა
**თეა მოსია**



◉ ხელყოფილი ძირითადი კანონი

# რა, არ აღვწეროთ მოსახლეობა?!



(მესამე გვერდიდან)

ამ მხრივ არც საქართველო იყო გამონაკლისი და 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების წინაც სულ უფრო ხშირად გაისმოდა დემოგრაფიული შეფერილობის რიტორიკა როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის მხრიდანაც. თუმცა, სამწუხაროდ, არც ერთ და არც მეორე მხარეს არ წარუდგენია საზოგადოებისათვის ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა (პროგრამაძ და უკიდურეს შემთხვევაში მხოლოდ არსებული მდგომარეობის ზოგადი ანალიზითა და პოპულისტური განცხადებებით შემოიფარგლნენ.

მაგრამ დავუბრუნდეთ კვლავ მოსახლეობის აღწერას. გარდა იმისა, რომ გაურკვეველი ვადით გადაიდო მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ჩატარება, „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ," 2009 წლის 11 დეკემბრის კანონით გაუქმდა „საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შესახებ" 2001 წლის 12 ოქტომბრის კანონი, რომლის ზოგიერთი საკითხი აისახა „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ," კანონის სპეციალურ V თავში – „მოსახლეობის საყოველთაო აღწერა", ანუ აღწერასთან დაკავშირებით ეს ნიშნავს, რომ ამჟამად მოქმედი კანონის მე-20 მუხლის მიხედვით: „1. აღწერა ტარდება მოსახლეობის საყოველთაო აღწერის პროგრამით, რომელსაც შეიმუშავებს საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი და დასამტკიცებლად წარუდგენს მოსახლეობის აღწერის საკოორდინაციო სამთავრობო კომისიას. 2. აღწერის ჩატარების თარიღი თითოეული აღწერისათვის განისაზღვრება მოსახლეობის საყოველთაო აღწერის პროგრამით."

ე.ი გამოდის, რომ მოსახლეობის საყოველთაო აღწერის პროგრამა უნდა შეიმუშაოს საქსტატის აღმასრულებელმა დირექტორმა (მაშინ როცა, უკვე გაუქმებული კანონის – „საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შესახებ," მე-6 მუხლით, გათვალისწინებული იყო, რომ „აღწერა ტარდება სპეციალური პროგრამით, რომელსაც სამთავრობო დაწესებულებების,

> ***საჭიროდ მიგვაჩნია, რომ საქართველოს ახალ კონსტიტუციაში ჩაიწეროს მუხლი მოსახლეობის საყოველთაო აღწერების ჩატარების პერიოდულობისა და ვადების (თარიღის) შესახებ (თუნდაც პირდაპირ იქნას გადმოტანილი გაეროს აღნიშნული რეკომენდაციის მოთხოვნა, მოსახლეობის საყოველთაო აღწერების ყოველ ათ წელიწადში ერთხელ, 0-ზე დაბოლოებულ წელს ჩატარების შესახებ), რათა მისი ჩატარება-არჩატარების საკითხი არ იყოს დამოკიდებული რომელიმე სახელმწიფო მოხელის ნება-სურვილზე და სავალდებულო იყოს ყველა მომდევნო ხელისუფლებისათვის***

სამეცნიერო და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების მონაწილეობით ადგენს და ამტკიცებს საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი" – რაც გაცილებით უფრო სწორი და დემოკრატიული ნორმა იყო, ვიდრე ამჟამად მოქმედი წესიძ და მხოლოდ ამ პროგრამის მიხედვით განისაზღვრება მისი ჩატარების თარიღი, რაც სრული აბსურდია. რატომ? იმიტომ, რომ არ შეიძლება ერთი კაცის, ამ შემთხვევაში საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის, ნებაზე იყოს დამოკიდებული აღწერის პროგრამის შემუშავება და მერე კი მის მიხედვით აღწერის ჩატარების თარილის დადგენა. დავუშვათ და არ შეიმუშავა მან ეს პროგრამა, მაშინ სახელმწიფომ არ უნდა ჩაატაროს მოსახლეობის აღწერა? არადა მოსახლეობის აღწერა მარტო სტატისტიკურ მონაცემებს კი არ იძლევა, არამედ, როგორ იმავე კანონის მე-17 მუხლში ვკითხულობთ: **„აღწერა ტარდება საქართველოს ყველა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში მოსახლეობის შესახებ ზუსტი მონაცემების მისაღებად, რაც აუცილებელია ქვეყნის მოსახლეობის დემოგრაფიული ვითარების დადგენის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრისა და საზოგადოების ინფორმირების მიზნით."**

ე.ი. აღწერა საჭირო ყოფილა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრისთვისაც, და ამიტომ თუკი ხელისუფლებას სურს, რომ რეალურად განახორციელოს მასზე დაკისრებული მოვალეობები, ანუ იზრუნოს ხალხის კეთილდღეობაზე, მას უნდა გააჩნდეს ობიექტური ინფორმაცია თავისი მოქალაქეების (მოსახლეობისძ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, რომელსაც სწორედ მოსახლეობის საყოველთაო აღწერები იძლევა. მაგრამ, სამწუხაროდ, არსებული წესის მიხედვით გაურკვეველია მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ მონაცემების მიღების შესაძლებლობა, რადგან გაუქმებულია აღწერის „ათწლიანი ციკლით ჩატარების" პრინციპი და იგი შეცვლილია „აღწერის ჩატარების პერიოდულობის" პრინციპით, რაც საერთოდ გაუგებარს ხდის, თუ როდის და რა პერიოდულობით უნდა ჩატარდეს მომავალი აღწერა, რითაც ასევე ირღვევა გაეროს რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც – მოსახლეობის საერთო ეროვნული აღწერები უნდა ტარდებოდეს უკიდურეს შემთხვევაში ყოველ ათ წელიწადში ერთხელ მაინც. ასე რომ, 2002 წელს ჩატარებული პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შემდეგ ათწლიანი ციკლი მთავრდება ორ წელიწადში, მაგრამ „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ" კანონის 22-ე მუხლის მიხედვით „აღწერის ორგანიზებისა და მეთოდურ დებულებათა პროექტების, მისი მასალების დამუშავების ტექნოლოგიური პროცესის შემოწმებისა და აღწერის მომზადებისა და ჩატარებისათვის პასუხისმგებელ სპეციალისტთა სწავლების მიზნით ძირითად აღწერას 2-2,5 წლით უსწრებს საცდელი აღწერა." ე.ი. გამოდის რომ მომდევნო აღწერამდე ჯერ უნდა ჩატარდეს საცდელი აღწერა (რომელიც თავისთავადაც საჭიროებს გარკვეულ მოსამზადებელ პერიოდსძ და მხოლოდ ამის მერე (2-2,5 წლის შემდეგძ ჩატარდება ძირითადი აღწერა, რაც საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მეცნიერულადაც მნიშვნელოვან, „აღწერის ჩატარების პერიოდულობის" პრინციპს.

ამრიგად, **წარმოდგენილი ანალიზიდან აშკარაა, რომ მოსახლეობის აღწერა (კერძოდ, მისი ჩატარების, უფრო ზუსტად კი ჩაუტარებლობის საკითხი), – როგორც დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის უმნიშვნელოვანესი წყარო, – ხელისუფლების მიერ არის პოლიტიზებული და, აქედან გამომდინარე, იგნორირებულიც. არადა, თუკი ქვეყანას სრულყოფილი და სანდო დემოგრაფიული ინფორმაცია არ გააჩნია თავისი უმთავრესი სიმდიდრის – მოსახლეობის შესახებ, მაშინ დიდი სურვილის მიუხედავადაც კი, ხელისუფლება ვერ შეძლებს საქართველოში არსებული უმწვავესი დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორებას. ამიტომაც ნებისმიერი ქვეყნის უპირველესი საზრუნავია მოწესრიგებული და ობიექტური ინფორმაციის მიღება ქვეყანაში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესების შესახებ.**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია, რომ საქართველოს ახალ კონსტიტუციაში ჩაიწეროს მუხლი მოსახლეობის საყოველთაო აღწერების ჩატარების პერიოდულობისა და ვადების (თარილისძ შესახებ (თუნდაც პირდაპირ იქნას გადმოტანილი გაეროს აღნიშნული რეკომენდაციის მოთხოვნა, მოსახლეობის საყოველთაო აღწერების ყოველ ათ წელიწადში ერთხელ, 0-ზე დაბოლოებულ წელს ჩატარების შესახებძ, რათა მისი ჩატარება-არჩატარების საკითხი არ იყოს დამოკიდებული რომელიმე სახელმწიფო მოხელის ნება-სურვილზე და სავალდებულო იყოს ყველა მომდევნო ხელისუფლებისათვის, რამეთუ მისი შეუსრულებლობა გაცილებით მეტ პასუხისმგებლობას გულისხმობს (განსაკუთრებით ხელისუფლებისათვის, რადგანაც კონსტიტუციის დარღვევა უფრო მეტ პასუხისმგებლობას ითვალისწინებსძ, ვიდრე სხვა რომელიმე რიგითი კანონის დარღვევა. თუმცა სიმართლე რომ ვთქვათ **ჩვენ ნაკლებად გვაქვს ასეთი შესწორების კონსტიტუციაში შეტანის იმედი, რადგანაც, როგორც განვლილმა შვიდმა წელიწადმა აჩვენა, საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება არ არის მზად, ან არ სურს, ქვეყანაში არსებული უმწვავესი დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება, რადგანაც მან მოსვლისთანავე ჩაახშო დემოგრაფიული კვლევის ისედაც ჩანასახში მყოფი კერები და მოახდინა დემოგრაფიული პრობლემატიკის შესწავლის სრული პროფანაცია.** მაგალითად, 2006 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გააუქმეს ჯერ კიდევ 2000 წელს შექმნილი დემოგრაფიის კათედრა, რომელიც ერთადერთი სასწავლო რგოლი იყო, უმაღლესი განათლების სისტემაში, სადაც ხდებოდა დემოგრაფიის მაგისტრების მომზადება. ცოტათი ადრე, 2004 წელს კი გააუქმეს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დემოგრაფიის დეპარტამენტი, რომელიც დემოგრაფიულ პრობლემებზე მომუშავე ერთადერთი რგოლი იყო მთელ აღმასრულებელ სტრუქტურაში. ხოლო რაც შეეხება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფარგლებში არსებულ, – დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევების ინსტიტუტს, იგი ფაქტობრივად შეეწირა აკადემიის რეფორმაციის პროცესს, რამეთუ იქ განხორციელებულმა არასწორმა საკადრო რეორგანიზაციამ, ინსტიტუტი კვალიფიციური დემოგრაფების გარეშე დატოვა და აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა საქართველოში ისედაც ახალფეხადგმულ დემოგრაფიულ მეცნიერებას.

ღმერთმა ქნას, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ ვცდებოდეთ, და ხელისუფლებამ გაითვალისწინოს ჩვენი ეს მოკრძალებული სურვილი კონსტიტუციაში მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ჩატარების სავალდებულოებისა და პერიოდულობის შესახებ, რასაც იმედია მთელი საზოგადოებაც მიესალმება და დარწმუნებული ვართ, რომ ამ ნაბიჯს მიიჩნევენ, როგორც საქართველოს უმწვავესი დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და მისი

> ***ჩვენ ნაკლებად გვაქვს ასეთი შესწორების კონსტიტუციაში შეტანის იმედი, რადგანაც, როგორც განვლილმა შვიდმა წელიწადმა აჩვენა, საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება არ არის მზად, ან არ სურს, ქვეყანაში არსებული უმწვავესი დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება, რადგანაც მან მოსვლისთანავე ჩაახშო დემოგრაფიული კვლევის ისედაც ჩანასახში მყოფი კერები და მოახდინა დემოგრაფიული პრობლემატიკის შესწავლის სრული პროფანაცია.***

შემდგომი რეალიზაციისაკენ გადადგმულ პირველ რეალურ ნაბიჯად, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისათვის და ასევე ხელს შეუწყობს ხელისუფლების წინა საარჩევნო დაპირებების რეალიზაციასა და შესაბამისად საკმაოდ შელახული იმიჯის რეაბილიტაციასაც. ასე რომ საქმე ახლა ხელისუფლებაზეა.

**ანზორ სახვაძე,**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, დემოგრაფი

◉ ინფორმაცია

## ბაგრატ შინკუბას ძეგლი შანდორ პეტეფის მამულში გაიხსნა

**უნგრეთის ქალაქ კეშკერეშში, ცნობილი პოეტის შანდორ პეტეფის სამშობლოში, პოეტის დაბადებიდან 161-ე წლისთავის აღნიშვნის ფარგლებში, აფხაზი პოეტის ბაგრატ შინკუბას ძეგლი გაიხსნა. ინფორმაციას ამის შესახებ აფხაზურ მედიასთან ერთად რუსეთში აფხაზეთის ე.წ. საელჩო ავრცელებს.**

**მათი ინფორმაციით, ძეგლი პეტეფის მამულში მდებარე ხეივანში გაიხსნა, იქ, სადაც არის იმ პოეტების ბიუსტები, რომლებიც პეტეფის შემოქმედებას თარგმნიდნენ.**

**მათივე ინფორმაციით, ძეგლის გახსნას სეპარატისტული აფხაზეთიდან ჩასული დელეგაციაც ესწრებოდა. კერძოდ, სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. კულტურის მინისტრი ნუგზარ ლოგუა, ძეგლის ავტორი ცირა ახბა და პროფესორი სერგეი ბებია.**

ჯო-ეიბ-ენი

◉ როგორ ინგრევა აშენებული...

# „კავკასიურ სახლსაც“ მიადგნენ...

## ხელისუფლება შენობას ჰყიდის და ამით რუსულ საქმეს აკეთებს

**„კავკასიურ სახლში“, გალაკტიონ ტაბიძის 20-ში, კვლავაც ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი, სწორედ იმ დღეს, როცა თბილისის მერმა გიგი უგულავამ ზარ-ზეიმით გახსნა რეაბილიტირებული გალაკტიონის ქუჩა. საზოგადოების თავშეყრის მიზეზი კი არცთუ სასიამოვნო იყო. „კავკასიური სახლის“ ხელმძღვანელმა ნაირა გელაშვილმა გულისტკივილით აღნიშნა, რომ ხელისუფლების „გემოვნებაში“ ამჯერად „კავკასიური სახლის“ შენობა ჩაჯდა და მასაც გაყიდვას უპირებენ, სავარაუდოდ, კარგა სარფიანად.**

25 ივლისის პრეზიდენტის ბრძანებულებით, „კავკასიური სახლის“ მონაცვლე საჯარო იურიდიული პირი – კავკასიური მუზეუმი უნდა შეიქმნას, ხოლო რეალურად რას გულისხმობს ხოლმე ამგვარი გადაწყვეტილებები, ხელისუფლების ოინებს შეჩვეულმა საზოგადოებამ კარგად იცის.

„კავკასიური სახლის“ ამჟამინდელი შენობა რუსი სმირნოვების საკუთრება იყო. ის შემდეგ მუზეუმად გადაკეთდა, სადაც მთარგმნელთა კოლეგიაც ფუნქციონირებდა. სწორედ ამ კოლეგიის იურიდიული მემკვიდრე გახდა კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი „კავკასიური სახლი“, რომელიც დირექტორ ოთარ ნოდიას გარდაცვალების შემდეგ ნაირა გელაშვილმა ჩაიბარა. ორგანიზაციაში იყო ორი – სამთავრობო და არასამთავრობო „კავკასიური სახლი“. ისინი ძირითადად დონორი ორგანიზაციების მოზიდვაზე იყვნენ ორიენტირებულნი და გრანტების მოპოვების გზით ფინანსდებოდნენ. ოცი წლის წინათ, როდესაც თბილისის ქუჩებში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, „კავკასიურ სახლში“ შემოქმედებითი და კულტურული მუშაობა არ წყდებოდა და ტყვიების ზუზუნის ქვეშ ომის ქარცეცხლში გახვეულ კავკასიაში კავკასიური გაერთიანების იდეას ეყრებოდა საფუძველი და ვითარდებოდა.

როგორც ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე იხსენებს, პირველად მთავრობა „კავკასიური სახლით“ 1996 წელს დაინტერესდა. **„პარლამენტში კავკასიასთან ურთიერთობის ჯგუფს ვხელმძღვანელობდი. ზურაბ ჟვანიამ ქალბატონ ნაირასთან შეხვედრა მთხოვა. მაშინ ჩაეყარა საფუძველი „კავკასიურ სახლთან“ ჩემს ურთიერთობას. პირველი ოფიციალური გასვლა ნალჩიკში გვქონდა, სადაც „კავკასიური სახლის“ გამოცემული წიგნები ჩავიტანეთ. ხალხი გაოცდა: ჩვენ ომი გვაქვს, ხოლო თქვენ წიგნებს ბეჭდავთ ჩვენს ისტორიაზე, განვითარებასა და კულტურაზეო?! სხვათა შორის, ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ იქ საქართველოზე გამარჯვების მოედანს სახელი შეუცვალეს. არაერთხელ შეკრებილან „კავკასიურ სახლში“ კავკასიელები და მიზეზი იყო ერთი – აღედგინათ კავშირები, რომლებიც ჰქონდათ, წაეღოთ ლიტერატურა აქედან და საფუძველი ჩაეყარათ და განევითარებინათ კავკასიელ ხალხთა ურთიერთობა. „კავკასიური სახლი“ – ეს არის კავკასიის გაერთიანების იდეა, ამიტომ ამის დათმობა არ შეიძლება“.**

როგორც აღვნიშნეთ, „კავკასიური სახლი“ თავის თავს ინახავდა. ჰოლანდიური საერთაშორისო ორგანიზაცია „ჰორიზონტი“ ჯერ კიდევ 1995 წელს დაინტერესდა „კავკასიური სახლით“ და მისი მესვეური იორშ ჰენრე უანგაროდ ეხმარებოდა. ნახევარ მილიონ დოლარზე მეტი დაჯდა მხოლოდ შენობის რესტავრაცია, ამას გარდა ფინანსდებოდა სამუზეუმო ექსპონატების შენახვა, გამოცემები, საქმიანობა, ურთიერთობები. დღესაც 500-ზე მეტი ლტოლვილი ბავშვი სწავლობს საკვირაო სკოლაში, არსებობს კონფლიქტის ზონაში დაზარალებული პატარების ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის ცენტრი. ფონდ „ჰორიზონტს“ ზოგადად დიდი წვლილი მიუძღვის ქართული კულტურის გადარჩენაში. სვანეთის საყდრების უმეტესობა, ხატები და ფრესკები მისი აღდგენილია.

მაშინ, როცა ხელისუფლებამ ამ შენობას დაადგა თვალი, ყველაფერი იმ ლოგიკით მოხდა, როგორც აქამდე, მაგრამ აქ არის ერთი – სავარაუდოდ გაუთვალისწინებელი რამ. ფონდმა „ჰორიზონტმა“ თავის დროზე ასეთი ხელშეკრულება დადო კულტურის სამინისტროსთან: თუკი მთავრობა გაყიდდა შენობას, ის უკან გამოითხოვდა რესტავრაციაში ჩადებულ თანხას, თანამედროვე კურსის ეკვივალენტით. ამის მიუხედავად, „კავკასიური სახლის დაცვის თანამშრომლები გააფრთხილეს, რომ დალუქონ შენობა, გარეთ გაყარონ თანამშრომლები, რადგან სახლი უკვე გაყიდულია. ძნელია სიმართლის დადგენა, მართლა გაიყიდა თუ არა შენობა, მაგრამ დავალება კი ასეთია.

**„ჩვენ კარგი მუშაობისთვის გვსჯიან. ეს არის სადამსჯელო ოპერაცია, სხვა არაფერი,** – ამბობს ნაირა გელაშვილი, **– ეს არის შემოქმედთა, მეცნიერთა სახლი. რამდენჯერ ვთხოვეთ სახელმწიფოს, კერძოდ გიორგი გაბაშვილს სახელმწიფო მუზეუმის სტატუსი მიენიჭებინათ, მაგრამ უშედეგოდ. 20 წელიწადია შენობის გადასარჩენად ვიბრძვით, აი, როგორ ინგრევა აშენებული საქართველოში, ყიდიან, მაგრამ ფაქტია, რომ ამით რუსულ საქმეს აკეთებენ“.** ქალბატონმა ნაირამ შევარდნაძის ეპოქის მოვლენები გაიხსენა: **„სერგეი მირონოვი – რუსეთის დუმის წევრი ეწვია საქართველოს, შევარდნაძესთან შეხვედრის შემდეგ რატომღაც „კავკასიურ სახლში“ მოვიდა და მითხრა: ჩვენ ვეძებთ რუსული კულტურის ცენტრს საქართველოში და სმირნოვების მუზეუმი იქნება გადააკეთოთო. რა თქმა უნდა, უარით გავისტუმრეთ“.**



„კავკასიური სახლი“ რვა ენაზე გამოსცემს წიგნებს. ის კავკასიელ ხალხთა კულტურას, ისტორიას, ეთნოწარსულს ეხმიანება და ემსახურება, თუმცა თანამშრომლები მიიჩნევენ, რომ ეს არ ნიშნავს რუსეთისადმი მტრულ განზრახვასა და სიძულვილის გაღვივებას, პირიქით. თუმცა სახლის გაუქმება, ალბათ, სწორედ რუსეთს გაახარებს, რადგან მას დღემდე ასე ჰგონია, ბლოგ-პოსტებზე „კავკასიურ სახლში“ გამოცემული ლიტერატურის გადატანა იკრძალება, აშინებთ ის მყარი კავკასიური ურთიერთობები, რასაც თბილისში ეყრება საფუძველი.

**არ ვიცი, ვის წისქვილზე ასხამს წყალს ხელისუფლება, რადგან „კავკასიური სახლის“ გაუქმებით ძირშივე სპობს კავკასიელ ერებს შორის ურთიერთდამოკიდებულებისა და მეგობრობის იდეას. საპროტესტო წერილზე ხელმოწერების შეგროვება დაიწყო. კულტურის სამინისტროში კიდევ ერთხელ მოუწევთ იმ საქმიანობის შესახებ წაკითხვა, რასაც ოცი წლის განმავლობაში ახორციელებდა „კავკასიური სახლი“, მაგრამ საინტერესოა, როგორი იქნება საპასუხო ჟესტი – კულტურული თუ უკულტურო?**

ნია ფიფია

◉ თაღლითები

# მარტოხელა მოხუცს ბინა გაუყიდეს

**საქართველოში ამ ბოლო ხანს გახშირდა თაღლითური გზით მარტოხელა მოხუცთა ბინების დაუფლების შემთხვევები. გარკვეულ თანამდებობის პირთა ან საჯარო მოხელეების ხელმოწერების გარეშე, ბუნებრივია, თაღლითები, ე. წ. მოხუცთა და უმწეო ადამიანებზე მონადირეები, ასე თავისუფლად ვერ იმოქმედებდნენ.**

თბილისელმა ცოლ-ქმარმა: ნინო დარბაიშვილმა და გიორგი ავანიშვილმა თავიანთი განზრახვა ნოტარიუს თამარ ჯიქურაულის ხელშეწყობით აღასრულეს – თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გაიცნეს და დაუახლოვდნენ თბილისში, სოლოლაკში მცხოვრებ 81 წლის ქალს თამარ შაოშვილს. როგორც კი დაინახეს მარტოდმყოფი მოხუცი ქალი, მოქმედებას შეუდგნენ. გაარკვიეს, რომ იგი მარტოხელაა და აქვს ბინა, რომ თბილისში ჰყავს ნათესავები, ზუგდიდში კი ძმისშვილი – ჯემალ შაოშვილი. ისარგებლეს მისი ასაკითა და ჭირვეული ხასიათით, დაარწმუნეს, რომ მხოლოდ ისინი იყვნენ მისი კეთილისმყოფელნი და 25 დღის განმავლობაში შეადგინეს სათანადო საბუთები. ნოტარიუს თამარ ჯიქურაულის დახმარებით ხელი მოაწერინეს მინდობილობაზე, რომლითაც ამ თაღლითებს ენიჭებოდათ უფლება, განეკარგათ მისი ქონება. ცოლ-ქმარმა მოგვიანებით ბინა გაუყიდეს თამარ შაოშვილს, დაუძლურებული, უბინაოდ დარჩენილი ავადმყოფი საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც იგი გარდაიცვალა.

თამარ შაოშვილი თავისი ძმის ბინაში ცხოვრობდა, რომლის გარდაცვალების შემდეგ ბინა მას დარჩა, რადგან ძმისშვილი – ჯემალი ზუგდიდში ცხოვრობდა. მოხუცს ხშირად აკითხავდნენ ჯემალის ქალიშვილები თამარი და სხვა ნათესავები, თუმცა თამარ შაოშვილი, როგორც ეს მარტოხელა მოხუცებს სჩვევიათ, ბინაში მარტო დარჩენას და ყოფნას ამჯობინებდა. თამარ შაოშვილის პირდაპირი მემკვიდრის ჯემალ შაოშვილის განმარტებით, მას ეჭვიც არასოდეს გასჩენია, რომ ბინას სხვა ვინმე დაისაკუთრებდა.

ნ. დარბაიშვილისა და გ. ავანიშვილის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს გამოძიება, რომელიც ოთხი წელია გრძელდება. „სამწუხაროდ, სამართალდამცავმა ორგანოებმა დღემდე ვერ გასცეს სათანადო პასუხი თაღლითებს, არადა, ვინ იცის, კიდევ ვის გაამწარებენ ისინი! დარბაიშვილი და ავანიშვილი მკაცრად უნდა დაისაჯონ“, – აცხადებს ჯემალ შაოშვილის ადვოკატი მ. ჭკადუა.

ლადო ქირია,
ზუგდიდი

◉ ერიჰა!

# არასახარბიელო რეალიები

**ამერიკულმა ჟურნალმა „ფორაინ პოლისმა“ და საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ „ფაუნდ ოფ ფისმა“ მსოფლიოს „არაქმედითუნარიან“ სახელმწიფოთა ნუსხა გამოაქვეყნეს, რომელშიც საქართველოს 33-ე პოზიცია მიუჩინეს. ამერიკელმა მეცნიერმა და პოლიტოლოგმა ნოამ ჰომკინმა ის ძირითადი კრიტერიუმები დაასახელა, რომელთა მიხედვით შეადგინეს აღნიშნული რეიტინგი.** პირველი ნიშანი – ესაა სახელმწიფოს მიერ საკუთარ მოქალაქეთა ძალადობისგან, ანდა, სულაც, დაღუპვისგან გადარჩენის არაქმედითუნარიანობა, ან სურვილის არქონა. მეორე – ხელისუფლების მიერ როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო კანონმდებლობაზე უფრო მაღლა საკუთარი თავის დაყენების მიდრეკილება. ხოლო მესამე კი ის, რომ ასეთი სახელმწიფო **„დემოკრატიის დეფიციტს განიცდის,რომელიც ფორმალურად მოქმედ დემოკრატიულ ინსტიტუტებს რეალურ შინაარსს აცლის“.**

ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით ცენტრალური აზიის ყველაზე „არაქმედუნარიან“ ქვეყნად დაასახელეს უზბეკეთი, რომელიც 38-ე ადგილზეა. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში შედარებით ყველაზე სტაბილურად მიიჩნიეს უკრაინა (110-ე ადგილი). ყველაზე ცუდი პოზიციები აქვს საქართველოს, ტაჯიკეთს (37-ე ადგილი), ყირგიზეთს (42-ე ადგილი), აზერბაიჯანს (56-ე ადგილი) და თურქმენეთს (59-ე ადგილი). მოლდოვა, რომელიც ევროპის ყველაზე არასტაბილურ სახელმწიფოდ დაასახელეს, 54-ე ადგილზეა, ბელარუსი კი – 66-ე ადგილზე.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ.

◉ ინფორმაცია

# გემი მეჩეჩზე გაიჭედა



**მშრალტვირთმზიდი „ვოსტოჩნაია პლანეტა“ სამხრეთ ესპანეთთან, ალხესირესთან მეჩეჩზე შეჯდა. ხომალდზე უკრაინის 12 და საქართველოს ერთი მოქალაქე იმყოფებოდნენ.**

**რუსეთის მეზღვაურთა პროფკავშირის ინფორმაციით, გემზე ტრანსპორტის მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციის კოორდინატორი ხოსე მანუელ ორტეგა ავიდა. მისი თქმით, მეზღვაურები მძიმე მდგომარეობაში იყვნენ, მათ არ ჰქონდათ სასმელი წყალი და საკვები. ასევე, გემის ეკიპაჟს ორი თვის განმავლობაში ხელფასი არ მიუღია.**

**გემი ბუქსირით ადგილობრივ პორტში გადაიყვანეს. „წითელი ჯვრისა“ და ადგილობრივი პროფკავშირების წარმომადგენლებმა ეკიპაჟს წყალი და საკვები მიაწოდეს. ტრანსპორტის მუშაკთა საერთაშორისო ფედერაცია აწარმოებს მოლაპარაკებებს, რათა მეზღვაურებმა ხელფასი მიიღონ და სამშობლოში მათი რეპატრიაცია მოხდეს.**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ მე ასე მწამს

# დიდი კაცი თუ გამოგვერია...

**წინამდებარე წერილის შექმნა გასულ კვირაში რუსულ „ОРТ“-ზე გასულმა შესანიშნავმა დოკუმენტურ-პუბლიცისტურმა ფილმმა („უკანასკნელი დიდი ფრანგი“) მაფიქრებინა, ფილმმა, რომელიც შარლ დე გოლს ეძღვნება, მაგრამ იმდენია სტალინის შესახებაც ნათქვამ-ნაჩვენები, რომ თამამად შეიძლებოდა ამ ფილმს „უკანასკნელი დიდი ქართველიც“ რქმეოდა.**

ხუმრობა იქით იყოს, და წერილის შექმნის აუცილებლობაში ისევ ტელევიზიამ, ამჯერად ქართულმა, ე.წ. საზოგადოებრივმა მაუწყებლობამ დამარწმუნა, სადაც საზოგადოებამ ვახო სანაიას მორიგი „შედევრი“ იხილა, რითიც გვამცნობს ამჯერად ახალგაზრდა სტალინის შესახებ ვიღაც გადამთიელი „მწერლის“ მორიგი პასკვილით.

თავი დავანებით იმას, რომ, როგორც წესი, სტალინის შესახებ დაწერილი წიგნები იაფფასიანი ე.წ. „ბესტსელერებია“, რასაც არანაირი შეხება არა აქვს ნამდვილ მწერლობასთან, მწერლებთან, ანუ მსგავს „ნაშრომთა“ ავტორების მიზანი, რაც შეიძლება ბევრი ფულის მოხვეჭაა – და ამ მხრივ, არც „ახალგაზრდა სტალინის“ ბრიტანელი ავტორია გამონაკლისი.

მე უფრო სხვა რამ მენიშნა – გორში, სტალინის ძეგლის სკანდალური ხელყოფის შემდეგ ჩვენი ხელისუფლება (უფრო სწორად, ძალაუფლება) დანაშაულზე წასწრებული უზრდელი ბავშვივითაა და ვახო სანაიას გადაცემამაც უგემურ თავის მართლებას ჰგავდა. აი, ნახეთ ხალხო, თქვენი საამაყო სტალინი, სისხლისმსმელობასთან ერთად, გარყვნილი, უზნეო მექალთანე, საკუთარი სიდედრის სარეცელის ბინადარი, ალვირახსნილი პედოფილიც ყოფილა და თუ არ გჯერათ, აი, მონტეფიორეს „ახალგაზრდა სტალინი“ წაიკითხეთო.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მინდა მკითხველებს ჩემი შეხედულება გავუზიარო XX საუკუნის და ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი გენიოსის, ტომით ქართველი იოსებ ჯუღაშვილის, იგივე სტალინის, გნებავთ სოსელოს მიმართ, რომელსაც თვით დიდმა ილიამ დაულოცა გზა ქართულ მწერლობაში, მაგრამ მისმა ბედისმწერალმა სხვაგვარად განსაჯა. სოსელოს ცხოვრებაში „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“ სენტიმენტალურ ეპიზოდად დარჩა და განგებამ ინება, რომ მას სტალინის სახელით, ფოლადის მარჯვენით

**...მაგრამ მისმა ბედისმწერალმა სხვაგვარად განსაჯა. სოსელოს ცხოვრებაში „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“ სენტიმენტალურ ეპიზოდად დარჩა და განგებამ ინება, რომ მას სტალინის სახელით, ფოლადის მარჯვენით ემართა პლანეტის ნახევარი, ხოლო მეორე ნახევარი ათეული წლების განმავლობაში შიშით, რიდით და კრძალვით ძრწოდა გორელი „მეჯღანის“ შვილის წინაშე.**

ემართა პლანეტის ნახევარი, ხოლო მეორე ნახევარი ათეული წლების განმავლობაში შიშით, რიდით და კრძალვით ძრწოდა გორელი „მეჯღანის“ შვილის წინაშე.

იმედს ვიტოვებ, მკითხველისთვის ოდნავ მაინც საინტერესო იქნება ის, რის თქმასაც ქვემოთ ვაპირებ, თუნდაც იმიტომ, რომ 30 წლის წინათ ისეთი სტალინოფობია მჭირდა, იმდენი სუფრა მაქვს არეული სტალინის სადღეგრძელოს გამო, რომ დღევანდელი ლაწირაკი ანტისტალინელები ჩემს მაშინდელ ფობიასთან შედარებით ღუნღულა მტრედად სჩანან, თუმცა მას შემდეგ დიდი დროც გავიდა და ბევრი რამეც მოხდა ისეთი, რამაც ბევრი რამ გადამაფასებინა, მათ შორის სტალინთან დამოკიდებულებაც.

## „ერთი შვილ მაინც გავზარდე, ვეფხვებთან მეომარია!“...

ასე ინუგეშებდა საკუთარ თავს შვილმკვდარი დედა „ვეფხვი და მოყმის“ ხალხური ბალადიდან. დაახლოებით იმავეს თქმა ჩვენი „კაი ყმა“ პრეზიდენტის დედასაც შეუძლია ოღონდ ასე: ძეგლებთან მეომარია, რადგანაც მიშა სააკაშვილის გადაადგილებული, აფეთქებული თუ დანგრეული ძეგლებისა, ეკლესიების მხოლოდ ჩამოთვლაც კი შეზარავს კაცს: ეკლესიები გლდანში და აჭარაში, დავით აღმაშენებელი თბილისში და დიდების მემორიალი ქუთაისში, ილიას, მემედ აბაშიძის ძეგლები ბათუმში და ა.შ.

ამ ეროვნული სიწმინდეების ნაცვლად კი, თბილისი, ბათუმი სრულიად საქართველო „დაამშვენეს: ჰეიდარ ალიევის, „მედეა კოლხის“, პრომეთეს, გმირთა მოედანზე ფალოსის (რომელსაც ენაკვიმატმა თბილისელებმა მოასწრეს და „სამში ერთი“ შეარქვეს) ძეგლებით, ამის შემდეგ, რომ ვთქვა, ზუგდიდში რევაზ ლაღიძის ქუჩის (ქუჩაც ძეგლია), მარნეულის „კიდევაც დაიზრდებიან“ და თბილისის „ქართვლის დედის“ ჯერია-მეთქი, დაუჯერებელია?

და აჰა, გორში, ღამით, ქურდულად, სტალინის ბრინჯაოს მონუმენტი მოიპარეს. იმ შემზარავი, ვანდალური კადრების ხილვისას, განსაკუთრებით მაშინ, როცა ვიღაც ნაცმოელი ლაწირაკი, პირვე დამხობილ სტალინს თავში უტყაპუნებდა, დაახლოებით მივხვდი, თუ რას განიცდიდნენ ჩემი თაობის მამები შორეული 1956 წლის 9 მარტს, როდესაც ათასობით ადამიანი (მათ შორის არა ერთი და ორი, ე.წ. რეპრესირებულთა, „ხალხის მტრების“ შვილებიც იყვნენ) ქუჩაში გამოვიდა.

ეროვნული, ნაციონალური შეურაცხყოფის განცდა დამეუფლა მე იმ საღამოს და ამავე გრძნობის ექსტაზში დახვრიტეს ჩვენი მამებიც გასულ საუკუნეში, რადგანაც მათი აბსოლიტური უმრავლესობისთვის იოსებ სტალინი არა კომუნიზმის დიად იდეალებთან იყო გაიგივებული, არამედ ის პირველ რიგში ტომით ქართველი იოსებ ჯუღაშვილი იყო, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში იმავე კაცობრიობის უდიდესი მტერი ადოლფ ჰიტლერი და მისი გერმანული ფაშიზმი დაამარცხა, რაც არ შეიძლება ყოველ ნორმალურ ქართველს ეროვნული სიამაყის გრძნობას არ გვრიდეს. მესიმინდე ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ სტალინის შეურაცხყოფა სწორედ ამიტომ აღიქვა პირად ეროვნულ შეურაცხყოფად ლამის მთელმა საქართველომ. ვინმეს მოსწონს თუ არა, ერთი რამ უდავო ფაქტია – საქართველოში ზოგს უყვარს და ადმერთებს, ზოგსაც, პირიქით, სძულს, მაგრამ სტალინი ყველაზე ცნობილი ქართველი იყო მსოფლიოში, არის და ასეთადვე დარჩება, ალბათ, რადგანაც მეეჭვება, რომ ამ მხრივ მას ოდესმე თუნდაც რუსთაველმა გაუწიოს კონკურენცია. აღარაფერს ვიტყვი დავით აღმაშენებელზე, ისტორიულად ჩვენში ყველაზე დიდ ქართველად აღიარებულ, ქართველთა უსაყვარლეს მეფეზე, რომლის ცნობადობა, სამწუხაროდ, ვერასოდეს თუ არა, დიდხანს ვერ გასცდება ვიწრო სპეციალისტთა წრეს.



თუნდაც აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებრივ სიბრიყვედ და ეროვნულ დანაშაულად მიმაჩნია ის, რომ ჩვენი ხელისუფლება ხელს უწყობს მსოფლიო მასონთა მცდელობას, ტოლობის ნიშანი დაისვას ჰიტლერსა და სტალინს, სტალინიზმსა და ფაშიზმს შორის, ამის ოფიციალურად გაფორმება ახლახანს სცადეს ევროსაბჭოში, რაც რუსეთის პროტესტი გამო ვერ შეძლეს, თორემ საქართველოს დელეგაცია ხელებისა და ფეხების აწევით მხარს უჭერდა ამ, როგორც მინიმუმ, ისტორიულ უსამართლობას.

არც ის მგონია შემთხვევითი, რომ სწორედ ფაშიზმზე გამარჯვების 65-ე წლისთავზე მოხდა გორში იმ გამარჯვების მთავარი შემოქმედის, სტალინის ძეგლის ხელყოფა, რაც, ერთი მხრივ, მესიჯი იყო ნაცუდლეურებისა, ნახეთ, რა დემოკრატები ვართო და, მეორე მხრივ, ამერიკელ პატრონებსაც ასიამოვნეს. იმ ამერიკას, რომლის გადაღებულ ფილმებს რომ უყურებ, ისე გამოდის, თითქოს ამერიკელებმა მოიგეს II მსოფლიო ომი და რუსეთი თუ სტალინი, არაფერ შუაში იყვნენ. ომი, რომელშიც პატარა საქართველომ მეტი მსხვერპლი გაიღო, ვიდრე ამერიკამ.

ფილმი ვახსენე და, არ შემიძლია, დე გოლის შესახებ დოკუმენტური ფილმიდან ერთი ეპიზოდი არ მოვუთხრო მკითხველს, რომელმაც პირადად ძალიან ამაღელვა:

მოკლედ თუ ვიტყვით, ამ ეპიზოდის რეზიუმე ასეთია – რომ არა სტალინის გენია თუ გამჭრიახობა, შარლ დე გოლი ისეთივე უცნობად დარჩებოდა, როგორიც მანამდე იყო – ერთი ჩვეულებრივი რიგითი ფრანგი გენერალი, რომელსაც რუზველტი და განსაკუთრებით ჩერჩილი, ფრანგული წინააღმდეგობის მოძრაობაში მარიონეტად განიხილავდნენ, დე გოლსაც და, შესაბამისად, საფრანგეთსაც ომის შემდგომ ევროპაში.

ჩერჩილი მას „ვისკაჩკასაც“, ანუ მეტიჩარასაც ეძახდა, რადგან 1941 წლის ნოემბრიდან, როცა ფაშისტები მოსკოვთან იდგნენ, დაიწყო სტალინისთვის წერილების გაგზავნა, სადაც იგი უკვე მაშინ სთავაზობდა სტალინს ომის შემდგომ ევროპაში აშშ-ბრიტანეთის მოსალოდნელი ჰეგემონიის საპირწონედ, სსრკ-საფრანგეთის ხაზის შექმნას.

პირველ ხანებში სტალინი, ალბათ აშშ-ინგლისთან მოკავშირეობის გამო, იგნორირებას უკეთებდა ყველასთვის უცნობ ბრიგადის გენერალს, მაგრამ მერე და მერე მიხვდა დე გოლის აზრის არც თუ უსაფუძვლობას და მოკავშირეებს, პირველ რიგში ჩერჩილს, რომელიც დე გოლისგან უსიტყვო მორჩილებას ითხოვდა, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ იგი ლონდონში იყო თავშეფარებული, მიანიშნა, რომ შესაძლებელი იყო დე გოლისთვის შტაბბინა მოსკოვში გაეხსნათ.

ამის შემდეგ სტალინი ლობირებდა, ზეწოლას ახდენდა მოკავშირეთა ტრიუმვირატში დე გოლისა და საფრანგეთის როლის გაზრდისთვის ომის შემდგომ ევროპაში. მიუხედავად იმისა, რომ დე გოლის არც ერთ კონფერენციაში (თეირანი თუ იალტა) პერსონალური მონაწილეობა არ მიუღია, 1944 წლის ბოლოს, ანუ, მეორე ფრონტის გახსნის შემდეგ, დე გოლი ჩადის მოსკოვში, სადაც პროტოკოლით გათვალისწინებული 30 წუთი კი არა, რამდენიმე დღე დარჩა და 18 საათი შეადგინა სტალინთან მისმა საუბრებმა, სადაც სხვა გლობალურ საკითხებთან ერთად, ქართული, ეროვნული განძის საქართველოში დაბრუნებაც გადაწყდა.

სწორედ სტალინის „ახირების“ გამო მისცეს წილი საფრანგეთს, რომელიც ობიექტურად არ ეკუთვნოდა. იმის გათვალისწინებით, რომ ე.წ. საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობა, II მსოფლიო ომში გამარჯვებასთან მიმართებით სიმბოლური დატვირთვისა თუ იყო...

ეს ყველაფერი რომ ისე იყო, და არა სხვანაირად, ის ფაქტიც მოწმობს, რომ როდესაც ფელდმარშალი კეიტელი გერმანიის კაპიტულაციაზე ხელმოსაწერად შევიდა დარბაზში და იქ საფრანგეთის წარმომადგენელიც დაინახა მოკავშირეთა ტრიუმვირატის გვერდით, ირონიულად შენიშნა – საფრანგეთმაც დაამარცხა გერმანიაო?

როდესაც 1966 წელს, პოლიტიკური კარიერისა და დიდების მწვერვალზე მყოფი საფრანგეთის პრეზიდენტი შარლ დე გოლი, ანტისტალინური ისტერიით მოცულ მოსკოვში ჩავიდა, ახლად „გამომცხვარ“ ბრეჟნევს სთხოვა, პროტოკოლის მიღმა, სტალინის საფლავზე ყვავილების მიტანა, რაზედაც ზრდილობიანი უარი მიიღო“, რის შემდეგაც თხოვნა კატეგორიული მოთხოვნით შეცვალა დე გოლმა და ბრეჟნევიც იძულებული გახდა, მაღალი სტუმრის „კაპრიზი“ დაეკმაყოფილებინა.

როგორც ის დოკუმენტური ფილმი მოგვითხრობს, ყოველგვარი ტელე, კინოკამერების გარეშე მიუყვანიათ ყველაზე დიდი ფრანგი ყველაზე დიდი ქართველის საფლავთან, ყვავილები დაუწყვია და „потом он долго, долго стоял вытянувщис рукой под козырком“ – სტალინის ძეგლის უწიგნური ხელყოფებისთვის ვთარგმნი, ანუ დიდხანს, დიდხანს იყო „ჩესტზე“ გაჭიმულიო, ევროპის კლასიკური დემოკრატიის ერთ-ერთი შემოქმედი, ყველა დროის და ხალხების უბოროტესი სისხლიანი ტირანის საფლავთანო!

**მჯერა, რომ მოვა დრო, როცა გადაადგილებულ-დანგრეულ ძეგლებს ხალხი აღადგენს და კუთვნილ ადგილებზე დააბრუნებს. მათ შორის სტალინიც ზარ-ზეიმით დაბრუნდება გორის ცენტრში და, მიუხედავად ყველაფრისა, საქართველო ისევე იამაყებს სტალინის სახელით, როგორც ბერძნები მაკედონელით, რომაელები – კეისრით, ფრანგები – ნაპოლეონით ...**

სუფთა ხელებით დიდი პოლიტიკის კეთება შეუძლებელია! – ესეც დე გოლის ნათქვამია, ოღონდ საკუთარ თავზე. ერთი რამ უეჭველად მჯერა, რომ მოვა დრო, როცა გადაადგილებულ-დანგრეულ ძეგლებს ხალხი აღადგენს და კუთვნილ ადგილებზე დააბრუნებს. მათ შორის სტალინიც ზარ-ზეიმით დაბრუნდება გორის ცენტრში და, მიუხედავად ყველაფრისა, საქართველო ისევე იამაყებს სტალინის სახელით, როგორც ბერძნები მაკედონელით, რომაელები – კეისრით, ფრანგები – ნაპოლეონით...

**დავით მხეიძე**

◉ ინფორმაცია



## ონიანი სასამართლოს განაჩენს ასაჩივრებს

**ტარიელ მულუხოვმა (ონიანი), რომელსაც მოსკოვის ხამოვნიჩესკის რაიონის სასამართლომ 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, განაჩენი საკასაციო სასამართლოში გაასაჩივრა.**

**– ჩვენ მხოლოდ მოკლე სარჩელი შევიტანეთ, რომელშიც განაჩენის გაუქმებას ვითხოვთ, – განაცხადა ონიანის ადვოკატმა ნიკოლოზ მდინარაძემ.**

**ხამოვნიჩესკის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ონიანი დამნაშავეა ადამიანის გატაცებაში და გამოსასყიდის მიღებაში. ონიანი სასჯელს მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოიხდის.**

ჯი-ეიჩ-ენი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მედვედევი: ლუკაშენკო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებას დაგვპირდა

**რუსეთი დაინტერესებულია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საერთაშორისო აღიარებით, მაგრამ ეს თვითმიზანი როდია, განუცხადა ჟურნალისტებს რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა. მისი სიტყვებით, ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომ გამოთქვა დაპირება, რომ აღიარებს რესპუბლიკებს. და ეს მან გააკეთა დსთ-ს მთელი რიგი ქვეყნების ლიდერების თანდასწრებით**

„ჩვენ დაინტერესებული ვართ, რომ ისინი აღიარონ. მაგრამ ეს თვითმიზანი როდია. ასეთი ამოცანა არ მდგარა და არც ამჟამად დგას", — თქვა მედვედევმა.

ბელარუსის ლიდერმა ასეთი დაპირება გამოთქვა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ზოგიერთი ქვეყნის ხელმძღვანელის თანდასწრებით, დააზუსტა რუსეთის პრეზიდენტმა.

„მან თქვა: „მე საზეიმოდ ვდებ ფიცს, რომ ყველაფერს გავაკეთებ ყველაზე მოკლე დროში", — თქვა მედვედევმა.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА



# სააკაშვილის მეგობრები თბილისში ერთ დოლარად შენობებს იძენენ

**უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მიხეილ სააკაშვილმა ცალკეულ თანამოქალაქეებსა და ორგანიზაციებს უკანონოდ გადასცა დაახლოებით 70 სახელმწიფო ობიექტი. უფრო ზუსტად — აჩუქა**

ახალი მფლობელები ხომ ხშირად ბიუჯეტში იხდიდნენ წმინდა სიმბოლურ თანხებს. საკუთრების გადაცემის ასეთი მექანიზმი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის. ამის შესახებ არის საუბარი დამოუკიდებელი სტუდიის „მონიტორის" ფილმ-გამოკვლევაში, რომლის პრემიერაც თბილისში გაიმართა. ფილმის — „პრეზიდენტის „სიმბოლური" საჩუქრები" — ავტორია ჟურნალისტი გიორგი მგელაძე.

27-წუთიან ფილმში ყველაზე საინტერესო ისტორიაა — საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების შესახებ. მათ 1000-1000 ლარი გადაიხადეს (ეს დაახლოებით 540 დოლარია) ბინებისთვის ბათუმის ცენტრში. მთლიანად ათმა მოსამართლემ 10 ბინის შეძენისათვის გადაიხადა ათი ათასი ლარი. სინამდვილეში ამ საცხოვრებელი ფონდის ღირებულება 700 ათასი ლარია. და ესეც ყველაზე მინიმალური შეფასებით.

კიდევ უკეთესად მოეწყო სამთავრობო რუსულენოვანი ტელეარხი „რეგიონ-ტვ" (ყოფილი „ალანია"). მისმა მფლობელებმა ოფისისათვის, რომლის ფართობიც 442,53 კვ. მეტრია, თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ რაიონში გადაიხადეს ... ერთი ამერიკული დოლარია

მილიონჯერ მეტი შეიტანა სახელმწიფო ბიუჯეტში მეორე „კერძო" ტელეკომპანია „რუსთავი-2"-მა. სამაგიეროდ შეიძინა თბილისის 26 ათასი კვადრატული მეტრი მიწა. მასთან ერთად 19 დასრულებული, დაუსრულებელი და ნახევრად დანგრეული შენობა. სხვათა შორის, სწორედ იქ ჩამოიქცა შარშან „ვარსკვლავების ფაბრიკის" ქართული ვერსიის პავილიონი. მასში კომპანიის ორი თანამშრომელი დაიღუპა.

ფილმის ავტორებმა გამოარკვიეს: „რუსთავი-2"-ს მიწის 1 კვადრატული მეტრი დაუჯდა 40 ლარი. თანაც მისი მინიმალური ფასი დედაქალაქის ამ რაიონში მერიამ განსაზღვრა 68 ლარად. უფრო მცირე შეფასებით გაყიდვა კანონით არის აკრძალული.

კომპოზიტორმა დავით ფორჩხიძემ 14 ათას დოლარად შეიძინა 137 კვადრატული მეტრი კომერციული ფართობი თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე. ამ სათავსოს საბაზრო ღირებულება 600-დან 750 ათას ლარამდეა. ფორჩხიძე, სხვათა შორის მონაწილეობას ღებულობდა წინასაარჩევნო კლიპის „მიშა მაგარიას" და ქართული პოლიციის ჰიმნის შექმნაში.

სტუდია „მონიტორის" ყველა ოფიციალური შეკითხვა პრეზიდენტის პრესსამსახურისადმი, ტელეკომპანიების ხელმძღვანელობისადმი, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი უპასუხოდ დარჩა. თუმცა ისედაც გასაგებია: მთავარი კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც გაიცემა ასეთი ძვირფასი საჩუქრები, პრეზიდენტისა და მისი გუნდის პოლიტიკური ლოიალობაა.

ამის საუკეთესო ილუსტრაცია შეიძლებოდა გამხდარიყო საუბარი იმ აგარაკის შესახებ, რომელიც სააკაშვილმა აჩუქა პარლამენტის ექს-სპიკერს ნინო ბურჯანაძეს. გადადგომის შემდეგ ბურჯანაძემ მხოლოდ ერთ ლარად საკუთრებაში მიიღო რამდენიმე ნაგებობა თბილისის მახლობელ ერთ-ერთ საკურორტო დასახლებაში. მაგრამ საკმარისი იყო ნინო ანზორის ასული გადასულიყო ოპოზიციაში, რომ მას დააკისრეს ისეთი გადასახადები, რომ აგარაკი დააბრუნეს უკან.

კირილ კოლოდინი

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

# დედამიწის ზურგზე

**ობამამ დაადასტურა ერაყიდან ჯარების გამოყვანა, თუმცა ძალადობა ქვეყანაში არ წყდება**



აგვისტოს ბოლომდე ერაყიდან გამოიყვანენ 90 ათას ამერიკელ ჯარისკაცს. სამხედროების ადგილს დიპლომატები დაიკავებენ. ჯარების საბოლოო გამოყვანა ავღანეთიდან ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვს 2011 წლის ბოლოსათვის. თუმცა ობამას სიტყვის შემდეგ ბაღდადში მოკლეს 5 ერაყელი სამხედრო და აღმართეს „ალ-ყაიდას დროშა".

* * *




**აშშ-ს ხელისუფლებამ ისაუბრა მექსიკის ყურეში ნავთობის გადინების ჭეშმარიტი მასშტაბების შესახებ: ეს ისტორიაში უდიდესი ავარიაა**

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ახალი მონაცემების თანახმად, ავარიის შედეგად კომპანია „ბრიტიშ პეტროლიუმის" ჭაბურღილზე მექსიკის ყურეში დაიღვარა დაახლოებით 4,9 მილიონი ბარელი ნავთობი. ეს ნიშნავს, რომ თავდაპირველად ჭაბურღილიდან იღვრებოდა 62 ათასი ბარელი ნავთობი დღე-ღამეში, მოგვიანებით — 53 ათასი. ადრე ხელისუფლება იტყობინებოდა 5 ათასის შესახებ, შემდეგ კი პროგნოზს ზრდიდნენ 35-60 ათასამდე.

* * *

**ამერიკელმა მეცნიერებმა გამოიგონეს ანტილაზერი**



„დროის უკუმიმდინარეობის ლაზერი ნთქავს სინათლის სხივებს, და არ აძლიერებს მათ. რეალური „ანტილაზერი" ჯერჯერობით არ არსებობს, მაგრამ მეცნიერები უკვე მუშაობენ მის შექმნაზე. გამომცდელები იელის უნივერსიტეტიდან იმედოვნებენ, რომ გამოგონება შეიძლება გახდეს სასარგებლო მომავლის ელექტრონიკაში.

* * *

**აშშ-ს ახალი სანქციები კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ მიზნად ისახავს, ხელი შეუშალოს კიმ ჩენ ირს შვილისათვის ხელისუფლების გადაცემაში**

კიმ ჩონ უნუსათვის ხელისუფლების გადაცემის უზრუნველსაყოფად შვეიცარიის, ლუქსემბურგისა და ევროპის სხვა ქვეყნების ბანკებში გადაირიცხა უზარმაზარი თანხები, ამტკიცებს სამხრეთკორეული „ჩოსუნ ლიბო". ბერნმა და ლუქსემბურგმა უკვე მისცეს თანხმობა ამერიკის შეერთებულ შტატებს თანამშრომლობაზე და დაჰპირდნენ მას, აღძრან სისხლის სამართლის საქმე იმ ბანკების წინააღმდეგ, რომლებიც აწარმოებენ უკანონო გარიგებებს კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასთან.

* * *




**აშშ შეშფოთებულია რუსეთში ოპოზიციონერების დაკავებით**

„ამერიკის შეერთებული შტატები იმეორებს იმის აუცილებლობას, რომ დაცული იქნეს საყოველთაო ღირებულებანი, მათ შორის თვითგამორკვევის თავისუფლებაც და კრებების თავისუფლებაც, რაც გათვალისწინებულია რუსეთის კონსტიტუციით, აგრეთვე საერთაშორისო შეთანხმებებით, რომლებსაც ხელს აწერს რუსეთი"-ნათქვამია ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროების ეროვნული საბჭოს პრესმდივნის მაიკლ ჰამერის განცხადებაში.



* * *

**პან გი მუნს სურს, დარჩეს კიდევ ერთი ვადით გაეროს გენერალური მდივნის პოსტზე**

მისი უფლებამოსილებანი იწურება 2011 წლის ბოლოს. „თუ კარგად ვმუშაობ, თქვა გი მუნმა საინფორმაციო სააგენტო კიოდოსთვის მიცემულ ინტერვიუში, — მაშინ გაეროს წევრები პოზიტიურად მოეპყრობიან ჩემს სურვილს". მას აგრეთვე იმედი აქვს, რომ ბირთვული განიარაღება მიღწეული იქნება მის სიცოცხლეში. ეს მისი მიზანია.

* * *



**გაზის გამოფრქვევა ჩინეთის შახტში: დაიღუპა 9 მაღაროელი, კიდევ 7 კაცი ბლოკირებულია მიწის ქვეშ**

ავარია მოხდა ხენანის ცენტრალური პროვინციის ქალაქ დენფენის სანიუანდუნის შახტში. გაზის გამოფრქვევის დროს მაღაროში 127 მეშახტე იმყოფებოდა, 111-მა მათგანმა მოახერხა ზედაპირზე ამოსვლა. სამაშველო ოპერაცია გრძელდება.

* * *

**გაეროს უშიშროების საბჭომ ტერორისტების სიიდან ამოიღო 45 თალიბი და ალყაიდელი**



ამ დროს 8 მათგანი უკვე მკვდარია. კიდევ 30 კაცი მიაჩნიათ დაღუპულად, მაგრამ არიან სიაში, რომელშიც „რევიზიამდე" 488 გვარია. საბჭოს ზოგიერთ წევრს სურს მათ დაღუპვის დადასტურება. სანქციონიზებული სიის მთლიანი მიმოხილვა არ მომხდარა 1999 წლის შემდეგ.

* * *

**რუსეთმა და აშშ-მ მოაწყვეს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის პირველი ერთობლივი სწავლება**



სცენარის თანახმად, ტერორისტები ხელში ჩაიგდებენ ამერიკულ სამოქალაქო-საჰაერო ხომალდს, რომელიც საერთაშორისო რეისს ასრულებს. ხელში ჩაგდების შემთხვევაში მას შეუწყდება კავშირგაბმულობა გარე სამყაროსთან. სწავლება „შორსმჭვრეტელი არწივის" ძირითადი მიზანია „ბორტის" გაცილება და სამხედრო-საჰაერო ძალებზე კონტროლის გადაცემა ერთ-ერთი ქვეყნის კოლეგებისთვის...

## ციკლიდან „უტყუარი მოთხრობები“

მამუკა ვაშაკიძე

# რეზო ძია კი წერს...

— ძია ავთო! ძია ავთო! მოიდა ხაშმური! — კახურად უქცევს კოტე.

— მოდი, შე ეშმაკო, მოდი, ისეთი სალათა დაგახვედრო... თხილითა, წიწაკითა, თქვენთან კახეთში არ იციან ეგეთი, — იღიმება ავთო ძია.

— ხაშმურზე რას იტყვი, იმერულ წყალწყალა ღვინოსთან შედარებით იგეთია, როგორც ტოტლებენი ერეკლე მეფესთანა.

ორივენი იცინიან. სუფრაც იშლება. ეს ხაჭაპურიო, ეს ახლადშემოსული კიტრ-პამიდვრის სალათაო, იმერულად თხილით შეზავებული, ეს მჭადი და ყველიო, მეტი რაღა უნდათ ამ გაგანია ზაფხულში.

— მამაშენი რად არ წამოიყვანე, მარტო ჩვენა ვსვათ ეგ ხაშმური?

— ეჰ, ძია ავთო, მამაჩემს ჩვენთვის სადა სცალია, წერს. გათენდება, წერს, დაღამდება, წერს. ცოტას ჩამოისხამს ღვინოს და... წრუპავს, წერს, იგემოვნებს, წერს. არადა ისეთი ღვინოა, კასიანე პაპაც არ დაიწუნებდა. — ჯორკო სკამი მიიჩოჩა ტაბლასთან კოტემ.

— კასიანეო? — ჩაიცინებს ძია ავთო. — ვითომ ჩვენზე კარგი გემოვნება ჰქონდა, შე ეშმაკის ფეხო, მართლა ბარონა ხარ, ბარონა. აბა დავიწყოთ. ისე, ეგ ხაშმური საიდან?

— ჩემს რეზიკოს დაბადების დღე ჰქონდა და...

— მოდი, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, ამრავლოს, აჯამრთელოს.

— გაიხარე.

ყლურწავენ საფერავს. ხან რას გაიხსენებენ, ხან რას, იცინიან, ხითხითებენ, ზოგჯერ ჩაფიქრდებიან, სადღაც უსასრულობას გაუშტერებენ თვალს, მერე ისევ ძია ავთო წამოიწყებს:

— მიდი ერთი, კოტე, ის მოყევი, კასიანეს რომ ბებიაქალი ჩაუვარდა ხელში...

კოტეც ყვება მილიონჯერ მოყოლილს, სიტყვას არ შეცვლის, სიტყვას არ მოაკლებს და არ მიუმატებს. აი-იასავითა აქვს გაზუთხული.

ბაბუა კასიანე ბოლშევიკების მიერ გაკრეჭილი მღვდელი იყო. ნამღვდელარს მაინც არ ეშინოდა სულწაწყმედილი ბოლშევიკებისა და ჩუმად, ღამით ნათლავდა ბავშვებს, ჯვარს სწერდა ახალდაქორწინებულებს, წესს უგებდა მიცვალებულებს. დღისით ხნავდა, თესავდა, სამეზობლოს ეხმარებოდა. არავინ ვიცოდით არც კასიანეს გვარი და არც კასიანეს საცხოვრებელი სოფელი. ეს მხოლოდ კოტემ იცოდა. კოტე იყო კასიანე ბაბუას მემატიანე. დაახლოებით, ჩვენი „დედუქციური მეთოდით“ გამოვთვალეთ, რომ ნამღვდელარი იმერეთის რომელიმე სოფლიდან უნდა ყოფილიყო, რადგან კახელი კოტე „კასიანე ბაბუად“ არ მოიხსენიებდა თავის წინაპარს, უბრალოდ კასიანე პაპაო, იტყოდა.

კასიანეს კიდევ ერთი მისია ეკისრა ახლომახლო სოფლებში — საუკუნეს მიტანებული ბებიაქალი სონა მშობიარესთან უნდა წაეყვანა. რადგან გაკრეჭილ მღვდელს არც ცხენი ჰყავდა და არც ჯორი, ჩასვამდა ბებიაქალს გოდორში, მოიკიდებდა ზურგზე და მიუყვებოდა გზას. თან ათასგვარ ტყუილ-მართალს უყვებოდა. ბებია კი თვლემდა გოდორში და კასიანე ბაბუას საუბარი იავნანასავით ჩაესმოდა. ერთხელაც შუაღამით, როდესაც კასიანე პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას და სონა ბებოსაც მშვიდად ეძინა გოდორში ჩაფენილ თურქეთის ომიდან „დეზერტირად“ დაბრუნებული შვილის ნაქონ შინელში, ნამღვდელარი ბუნებრივმა მოთხოვნილებამ შეაწუხა, ლოდზე ჩამოდო გოდორი და ბუჩქებში დურთა თავი. უკან მობრუნებულს გოდორი ადგილზე არ დახვდა, ეძება-ეძება და იქვე ხევის პირას მიუსწრო დაგორებულს. სონა ბებო მშვიდად განაგრძობდა ძილს. „ქე მევიკიდე გოდორი და გავუყევი გზას მთვარიან ღამეშიო“.

ყვებოდა კოტე და ორივენი იცინოდნენ, ხითხითებდნენ, თითქოს პირველად მოესმინა ძია ავთოსაც და თითქოს პირველად მოეყოლა კოტესაც.

— აბა, ის მოყევი, როგორ გასწავლა კასიანემ არყის დალევა.

კოტეც შეავსებდა ჭიქებს. თხელ ულვაშზე ცერა თითს გადაისვამდა და დაიწყებდა

— ყოველ დილას სვამდა კასიანე ბაბუა ერთ თლილ ჭიქა არაყს, რომელ ჭიქასაც რატომღაც თხლაშოს ეძახდა. ეშმაკები უნდა განვდევნოო, იტყოდა ხოლმე. ბაბუ, ღამით თლილი ჭიქა როა, მალენკოვის ჭიქა, მიაკვდა სულში ძაღლი, უნდა გაავსო ჭაჭის არაყით. ხარს რო დააბამს, იმნაირი ჯაჭვი უნდა ჰქონდეს, დადგა შკაფში და გვერდით ერთი ლუკმა პური უნდა დაუდო. დილას, რო გეიღვიძებ, ჩუმათ უნდა მიხვიდე შკაფთან, დეიმახსოვრე? ჩუმად უნდა მიხვიდე, გამოაღო კარი, უნდა ეიღო პურის ლუკმა და გადაყლაპო, ჯერე კარგად უნდა დაღეჭო, ერთი წუთიც არ უნდა აცალო და გადაკრა აგი გამზადებული არაყი. იცი, რეიზა? რაც ქვეყანაზე ეშმა და ავი სული დაბორიალობს ღამით, პირიდან მუცელში ჩადის, ბურჭალობენ იქანა, ხტუნაობენ, საბუდებელს ეძებენ, გამთენიისას ჩათვლემენ და კუჭ-შიგნეული შიმშილისგან უხმებათ. აგერ პურის ლუკმა რო გადაყლაპე დეესევიან ერთიანად, დაჰკრავ არაყს და ერთიანად ამოიჟუჟებიან. აბა, ბაბუა, სულში ეშმა-სატანას ხომ არ გააჩერებ.

ასეთი იყო კასიანე ბაბუას სულის ეშმასგან განწმენდის ფილოსოფია, რომელიც მისი აზრით ყოველგვარ თეოლოგთა შეგონებებს სჯობდა.

— ისიცა თქვი, ჩემმა ბიჭმა რო გამოგიჭირა.

— ჰო, დაბადების დღეზე თამადად დავნიშნე. წინაპრების სადღეგრძელოზე ყანწი მოითხოვა და კასიანე ბაბუა ადღეგრძელა, დედაჩემმა და მამაჩემმა ერთმანეთს გადახედეს, კასიანე ვინღა იყოო, — კოტე გაჩუმდა.

— მიდი, მიდი გააგრძელე! — ეღიმება ძია ავთოს.

— მეც გადავხედე თქვენს ბიჭს და ჩავილაპარაკე, მამუკა, გააგრძელე, ესენი არ იცნობენ-მეთქი. ყველას გაეცინა და მაშინ შემარქვეს ბარონაც. ბარონ მიუნჰაუზენი.

— ისე, ჩემო კოტე, ვინ იყო კასიანე? — უკვე მერამდენედ ეკითხება ძია ავთო.

კოტე ჩაფიქრდება, საჩვენებელი და ცერა თითის შორის მომწყვდეულ ცარიელ ჭიქას ატრიალებს.

— ვინ იყო და... ბაბუა იყო, ბოლშევიკებისგან გაკრეჭილი მღვდელი, კარგი კაცი იყო.

— მართალი მითხარი, შე ბარონავ, შენა!

— სულ მინდოდა კასიანე ბაბუაზე მოგონებების დაწერა, ძია ავთო. არ გამომივიდა...დრო აღარა მქონდა... ვერ მოვასწარი, არადა კარგი კაცი იყო კასიანე...

— მოდი, ჩემო კოტე, კაცებს გაუმარჯოს, ეს ღვინოც, არაყიც, პურ-მარილიც მაგათგანა გვაქვს ულევად, საღამოს არაყიც გაჩნდება, ხვალაც ასე იქნება...

— ღმერთმა ქნას, გამოულევად გვქონდეს...

ასეა ყოველდღე. ძია ავთო და კოტე სვამენ, იგონებენ ათას ამბებს, ერთსა და იმავეს, მაგრამ არა სწყინდებათ, ხან კოტესთან არიან, ხან ძია ავთოსთან, რეზო ძია კი წერს, თავაუღებლივ წერს, მათ საუბარზე ეცინება, ჭაღარა ულვაშზე ხელს ისვამს, ხაშმურს იგემოვნებს და წერს. ალბათ, მათ მონაყოლზე სევდიან, ხანაც სასაცილო ნოველებს აგვირისტებს, თვითონ რომ სჩვევია, ისეთებს. წერს და იღიმება.

— ეს არყიანი ბოთლი ქუჩის კუთხეში მიიტანე და თედოანთან ჩადგი, არავინ უკითხავს სასმელს, — ბოთლს აწვდის წასასვლელად გამზადებულ კოტეს ძია ავთო.

— ჩავდგამ, ძია ავთო, მა რას ვიზამ.

მიდის კოტე, მიუყვება გზას და რძისფერ ნისლში იმალება, ქრება, ქრება მომავალ დღემდე. ძია ავთო სუფრის ალაგებას იწყებს. თან თავისთვის ბუტბუტებს — „ღმერთმა აგაშენოს, ბიჭო, ეს რა მოყოლა იცი, ჰა, ბაბუა კასიანეო, ჰა, გაკრეჭილი მღვდელიო... ნეტა დაგეწერა თავის დროზე, მამაზე ნაკლები მწერალი კი არ იქნებოდი“.



* * *

**Იქ დრო და სივრცე არ არსებობს. იქ ყველაფერი მუდმივი და მარადიულია. ჩემი მეგობარი, კოტე ინანიშვილი ზაფხულის იმ დღეს დაკრძალეს საბურთალოს სასაფლაოზე, როდესაც ჩემს მშობლიურ სოფელში, მამა-პაპეულ ოდა სახლის ზალაში ჩემს მკლავზე მისვენებული მამაჩემი, ავთანდილ ვაშაკიძე სულთმობრძავი იტანჯებოდა.**

**თბილისიდან, მამის გასვენებაში ჩამოსულმა მეგობრებმა გაზეთი ჩამომიტანეს, ბოლოსწინა გვერდზე გვერდი-გვერდ ორი ნეკროლოგი იყო ფოტოებითა და საერთო რუბრიკით „ხსოვნა“ — კოტე ინანიშვილი და ავთანდილ ვაშაკიძე.**

**აქ ისინი ერთმანეთს არ იცნობდნენ. იქ, იქ კი... ყველაფერი მარადიულია, დროც და სივრცეც. მათი ტაბლა სულ გაშლილია, კოტე და მამაჩემი ერთმანეთს ათასგვარ ამბებს უყვებიან. რეზო ძია კი წერს, წერს და ულვაშებში იღიმება.**

ავტორის ნახატი

## ინფორმაცია

### კვლავ ბიბლიოთეკიდან მოპარული უნიკალური წიგნების გამო

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან მე-18, მე-19 საუკუნეების 39 დასახელების უნიკალური წიგნების მოპარვის ფაქტთან დაკავშირებით, სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი ანდრიაშვილმა განცხადება გააკეთა. მისი თქმით, განათლების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტმა თსუ-ს ბიბლიოთეკაში არსებული დარღვევები შეისწავლა.**

**— შემოწმების შედეგად გამოიკვეთა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები — მოპარულია მე-18, მე-19 საუკუნეების 39 დასახელების უნიკალური ისტორიული ხასიათის წიგნები, რომელთა ღირებულებაც ათეულობით ათას ევროს შეადგენს, — განაცხადა ირაკლი ანდრიაშვილმა.**

**ამასთან, თსუ-ს ბიბლიოთეკის დირექტორს, თამარ ნემსიწვერაძეს უფლებამოსილება დროებით შეუჩერდა.**

**ირაკლი ანდრიაშვილის განცხადებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არავის მისცემს უფლებას, მიითვისოს სახელმწიფო საგანძური და სხვადასხვა ფინანსური მაქინაციებით შეეცადოს საგანმანათლებლო რესურსების თავის სასარგებლოდ გამოყენებას.**

### კუბელებს ფიდელ კასტრომ ახალი წიგნი წარუდგინა

**კუბის ყოფილმა კომანდანტემ, ფიდელ კასტრომ თავისი ახალი წიგნის — „სტრატეგიული გამარჯვება“ პრეზენტაცია გამართა. პრეზენტაციაზე კასტრო საკუთარი წიგნიდან მონაკვეთებს ერთი საათის განმავლობაში კითხულობდა, შემდეგ კი ავტოგრაფებიც დაარიგა.**

**ფიდელ კასტროს განცხადებით, წიგნი 50 წლის წინათ გამართულ ბრძოლაზეა, რომლის დროსაც ფიდელ კასტროს 300-მა მეამბოხემ ქვეყნის ყოფილი დიქტატორის ფულგენსიო ბატისტას 10,000-იანი არმია დაამარცხა.**

**„არ ვიცი, ვფიქრობ, ხომ არ ჯობდა წიგნისთვის „ბატისტას უკანასკნელი იერიში“ ან „როგორ დაამარცხა 300-მა 10,000“ დამერქმია“, — განაცხადა კასტრომ კუბის სახელმწიფო ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში.**

**მისივე თქმით, 25-თავიან ნაწარმოებში იქნება ფოტოები, რუკები, ილუსტრაციები და ინფორმაცია იმ იარაღის შესახებ, რომელსაც მხარეები ომის პერიოდში იყენებდნენ.**

**როგორც ცნობილია, ფიდელ კასტრომ ფულგენსიო ბატისტას წინააღმდეგ ბრძოლა 1953 წლიდან დაიწყო. ცოტა ხნის განმავლობაში იგი სახელმწიფო გვარდიას ტყვედაც ჰყავდა აყვანილი, თუმცა საბოლოო ჯამში კასტრომ ქვეყანაში რევოლუციის მოწყობა მაინც შეძლო და ბატისტა ქვეყნიდან განდევნა. პრემიერ-მინისტრი კასტრო კუბას 1959 წლის დეკემბრიდან, 2008 წლამდე ხელმძღვანელობდა. ამის შემდეგ, კი ჯანმრთელობის გაუარესების გამო, მან ქვეყნის მეთაურის თანამდებობა თავის ძმას, რაულ კასტროს გადააბარა.**

ჯი-ეიჩ-ენი

## კალათბურთი

# ეს ქართული გუნდია!



**დიახ, საქართველოს, მართლაც რომ, ეროვნული საკალათბურთო ნაკრები ჰყავს სერბი მწვრთნელითა და ამერიკელი ლეგიონერებით, რომელსაც, თამამად შეიძლება ითქვას, თანამემამულეთათვის უსაზღვრო სიხარულის მინიჭება ძალუძს.**

არ გეგონოთ, ევროპის 2011 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის სტარტზე პოლონელებთან მოპოვებულმა ღირსეულმა გამარჯვებამ ეიფორიაში ჩაგვაგდო. უფრო პირიქითაა – ვცდილობთ, რაც შეიძლება ზომიერად შევაფასოთ „ჯვაროსანთა“ ლოკალური წარმატება, მაგრამ მეტოქის ძალისა და ბრძოლის მნიშვნელობის გათვალისწინებით, დაგვერწმუნეთ, ეს ლეს და მთავარი პრიზი სამშობლოში დატოვეს, მაგრამ უმარილო თამაშით უკმარისობის გრძნობა გაგვიჩინეს, თუმცა მაშინვე გამოითქვა ვარაუდი, რომ ბიჭები რაღაცას მალავდნენ. არც გაემტყუნებათ – პოლონელთა თავკაცი ხომ ბელარუსი ბორის გრიშჩუკია, რომლისთვისაც სლავ თვისტომთ ფასეული ინფორმაციის მიწოდება შეეძლოთ ჩვენებურთა ძლიერი თუ სუსტი წერტილების შესახებ. მოვლენებს წინ გავუსწრებთ და ვიტყვით, რომ ეს ვარაუდი არცთუ უსაფუძვლო გამოდგა – სტუმართა სამწვრთნელო შტაბს, ეტყობა, კარგად შეუსწავლია სამხრეთელთა თამაშის თავისებურებანი და საამისოდ არაერთი ღამე გაუთევავს, მაგრამ ამან სასურველი ნაყოფი მხოლოდ მატჩის პირველ პერიოდში მოისხა.



ვიდრე შეხვედრის პერიპეტიებზე გადავალთ, მოკლედ გავეცნოთ მოწინააღმდეგეს, რომელმაც ახალი სეზონის წინ სერიოზული საკადრო დანაკლისი განიცადა ნატურალიზებული ოკეანისგაღმელი გამთამაშებლის დევიდ ლოგანის სახით, რომელიც გუნდის ჭეშმარიტი ლიდერი იყო, მაგრამ შევსებაც სრულფასოვანი მიიღო „ვალენსიადან“ გადმობარგებული კელატის მეოხებით, რომელმაც პოლონელი ცოლი შეირთო და მისივე ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო. დაუმატეთ ამას ყაზანის „უნიქსის“ ფორვარდი ლამპე, „ორლანდოს“ ცენტრი გორტატი და მიხვდებით, როგორი მძიმე გამოცდა ელოდა მასპინძელთა მძიმე არტილერიას ფარქვეშ დუელში. საბედნიეროდ, ეს უკანასკნელი შეკრებაზე მყოფ პარტნიორებს მოგვიანებით – 20 ივლისს შეუერთდა და ვერ მოასწრო ოპტიმალური კონდიციების აღდგენა, მაგრამ ეს ჩვენი პრობლემა ნამდვილად არაა. არცთუ ადვილად შესასრულებელი განზრახვაა.

**საქართველო – პოლონეთი 84:65**

**(19:24, 26:16, 18:9, 21:16)**

მართალია, იგორ კოკოშკოვის შეგირდებმა თბილისის მერიის თასის ამასწინანდელი გათამაშება ქულათა მაქსიმუმით დაასრულეს.

რაც შეეხება მოგების ფორმულას, იგი მარადიული აქილევსის ქუსლის – დაცვაში სამაგალითო გარჯის დამსახურებაა, რისთვისაც კომპლიმენტები ეკუთვნით როგორც კოკოშკოვსა და მის თანაშემწეებს, ისე უშუალო მოქმედ პირებსა და შემსრულებლებს ფაჩულიას (26 ქულა), სანიკიძეს (14 ქულა), ცინცაძეს (14 ქულა), მარკოიშვილს (12 ქულა), გრინს (9 ქულა), ცქიტიშვილს (5 ქულა), შერმადინს (4 ქულა), აგრეთვე შენგელიას, გამყრელიძესა და ანატოლი ბოისას.

ამ მხრივ საგულისხმოა ცალკეული მეოთხედების მონაგარი – თუ სასტარტო მღელვარებასა და დროის საწყისი მონაკვეთის მაჩვენებლებს არ ჩავთვლით, გულშემატკივარმა ერთ მუშტად შეკრული, პატრიოტიზმის გრძნობით გამსჭვალული ეროვნული ნაკრების თამაში და, რაც მთავარია, ძლევამოსილი ბრძოლა იხილა.

ამისათვის დიდი მადლობა ბიჭებს!

**პორტუგალია – ბულგარეთი 59:67. ისვენებდა ბელგია.**

**ხვალ საქართველო ანტვერპენში ბელგიას შეხვდება.**

**გია პლატონიშვილი**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

## ჭადრაკი

# ოქროს ვერცხლი შეუნაცვლა



**თურქულ ქაისერში დამთავრდა მოჭადრაკეთა მსოფლიოს სასკოლო პირველობა, რომელშიც შესანიშნავად იასპარეზა ზურაბ ჯავახაძემ, რომელმაც 17-წლიანებში 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულა მოაგროვა და მეორე ადგილი დაიკავა.** საგულისხმოა, რომ მან წლეულს ევროპის პირველობაზე ჩემპიონობა მოიპოვა. ქაისერში ჩვენებურს ნახევარი ქულით გაუსწრო და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა მასპინძელი ბურაკ ფირათი. მესამე-მეოთხე ადგილები თურქმენ ძმებს – მაქსათ და იუსუფ ატაბაიევებს ერგოთ.

# თურქული ნადავლით

**ქესანის (თურქეთი) საერთაშორისო ტურნირში საქართველოს 10 მოჭადრაკე მონაწილეობდა.** განსაკუთრებით ივერი ჭილლაძემ იყოჩაღა – 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. გამარჯვებულს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ და მეორე-მეოთხე ადგილები გაიყვეს დავით ბენიძემ, ვიტალი კისელიოვმა (რუსეთი) და გიგა ყუფარაძემ. ტურნირის საპრიზო ფონდი იყო 12500 თურქული ლირა, საიდანაც გამარჯვებულს 3000 ლირა ხვდა.

**გიორგი გაგუა**

## კრივი

# მე-13 ნოკაუტით მე-14 ადგილზე



**ქართველ მოკრივეს ავთანდილ ხურციძეს („ჩაქუჩა“) პროფესიულ რინგზე 24-დან 21 შეხვედრა ჰქონდა მოგებული, ორი ფრედ დამთავრებული და მხოლოდ ერთი პაექრობა წაგებული.** გასულ უქმეებზე მან მინსკში 25-ე ორთაბრძოლა გამართა და 22-ე გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად ბელარუს სერგეი ხომიცკის დააყრევინა ფარ-ხმალი მე-6 რაუნდში (ეს მისი მე-13 ნოკაუტია). საშუალო წონის პროფესიონალ მოკრივეთა რეიტინგში მან მე-14 ადგილზე გადაინაცვლა.

## ძიუდო

# [illegible]

**წლეულს 17-19 სექტემბერს სოფია ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის პირველობას უმასპინძლებს, ერთი თვის შემდეგ კი მაროკოში მსოფლიოს პირველობა გაიმართება. ამ შეჯიბრებებისთვის მონდომებით ემზადება საქართველოს ნაკრები ატლანტის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორის სოსო ლიპარტელიანის ხელმძღვანელობით. ჩვენმა ახალგაზრდა ფალავნებმა პირველი გამოცდა პრაღის ევროპის თასზე ჩააბარეს, სადაც სამი ოქროს, ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს.**



ყველა შეხვედრა მოიგეს და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ლაშა შავდათუაშვილი (66კ), ბექძილ აფრასიძე (73კ) და ავთანდილ ჭრიკიშვილი (81კ). მხოლოდ ფინალური პაექრობები დათმეს და ვერცხლის მედლებით დაკმაყოფილდნენ ოთარ კაიდარაშვილი (55კ) და შმაგი ლაგაზაური (60კ). გიორგი ნოზაძეს (90კ) „ბრინჯაო“ ხვდა.

ახლა ახალგაზრდა მოჭიდავეები საწვრთნელ შეკრებას გაივლიან, სადაც კონტინენტის პირველობაზე წამსვლელთა ვინაობაც დასახელდება.

**ლექსო ცინცაძე**

## ინტერნეტიდან

# ბებერი რეკორდი დაემხო



**სწორედ ასე მოხდა. დაემხო ატლანტიკის ოკეანის ნიჩბებიანი ნავით გადალახვის რეკორდი, რომელმაც 114 წელი გაძლო. ეს გააკეთა მამაცი ნიჩბოსნების ოთხეულმა ფარერის კუნძულებზე. მათ გზის გადალახვას ნიუ-იორკიდან ბრიტანეთის ნახევარკუნძულის კორნუოლის ბოლო წვერთან მდებარე კუნძულ სილიმდე 24 დღე, 21 საათი, 26 წუთი და 48 წამი მოანდომეს. ეს 11 დღით ნაკლებია ადრინდელ სარეკორდო გადაცურვაზე, რომელიც ნორვეგიელებმა გეორგ ჰარბომ და ფრანკ სამუელსენმა 1896 წელს განახორციელეს.**

უამინდობის და სხვადასხვა ტექნიკური მიზეზების გამო ახლანდელმა ეკიპაჟმა ედინბურგელი ლივენ ბრაუნის, გალუელი რეი კაროლის, გლაზგოელი დონ ლენოქსის და ფარერის კუნძულელი ლივარ ნიუსტედის შემადგენლობით ორჯერ გადადო სტარტი. ასე რომ, ისინი ექსპედიციაში 17 ივნისს გაემგზავრნენ.

# ტრამპლინიდან – ბალიშით

**80 სპორტსმენი მონაწილეობდა შვეიცარიულ აინზიდელში გამართულ ტურნირში Airboard Summer.**

ეირბორდი ჯერჯერობით ერთადერთი სპორტული იარაღია, საჰაერო ბალიშის ეფექტს რომ იწვევს. ამ შეჯიბრებისთვის მხოლოდ ტრამპლინის ნაწილი გამოიყენება. დაშვების გორაკის სახით. მონაწილენი მასზე თავით წინ მიცურავენ, ცდილობენ რა დიდი სიჩქარის განვითარებას.



ამ საქმის ყველაზე სწრაფი სპეციალისტი – „მეფეა“ ლორან მატიე, რომელმაც გაზაფხულზე საათში 142 კილომეტრი განავითარა. ახლა კი გამარჯვებული შვეიცარიელი არონ ტაშჰაუზერია – საათში 101,98 კილომეტრის სიჩქარით.

# სასჯელად – შრომითი თერაპია



**ნუ გაგიკვირდებათ: აწ უკვე ჩავლილ მსოფლიო ჩემპიონატზე ჩრდილოკორეელი ფეხბურთელების ცუდი გამოსვლის გამო, პრესის მტკიცებით, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელი კიმ ჩემ ჰონი სასტიკად დასაჯეს – ის გააგზავნეს იძულებით სამუშაოზე, სადაც ყოველდღიურად მძიმე ფიზიკური შრომით იქნება დაკავებული დღე-ღამეში 14 და მეტი საათით.**

ცოტა ხნის წინათ ის გარიცხეს კორეის შრომის პარტიიდან. ნაკრების ყველა წევრი, ორის გამოკლებით (ისინი იაპონიაში ცხოვრობენ), აგრეთვე მწვრთნელები გამოიძახეს შრომის პარტიის ხელმძღვანელობასთან, ექვსსაათიანი გარჩევის შემდეგ ყველას საყვედური გამოუცხადეს.

# „ინტერი“ დააფასა

**იტალიური ტოპ-კლუბები აპენინების მიღმაც ცნობილნი არიან არა მხოლოდ დიდებული შედეგებით, ბრწყინვალე მოთამაშეებით და გულშემატკივართა არმიებით. ვინაიდან იტალიაში მსოფლიო მოდის ცენტრიცაა, სწორედ აქ ცხოვრობს და მუშაობს უამრავი ლამაზმანი მოდელი. აბა, რომელ კლუბს არ უნდა, რომ მის თაყვანისმცემლებს შორის იყოს უშესანიშნავესი ლამაზმანი, მათ შორის „ინტერსაც“. ის როდი განიცდის ასეთი გულშემატკივრების ნაკლებობას.**



ერთ-ერთი მათგანია მელიტა ტონიოლო – იტალიის ყველაზე ლამაზი ქალი. და თანაც ყველაზე ლამაზი მოდელი. ის გუნდსაც ეთაყვანება და რუმინელ მცველ კრისტიან კივუსაც.

A სერიის ახალი სეზონის წინ მელიტამ პიკანტური ფოტოსესია გამართა ჟურნალის Maxsim კალენდარისთვის, ასიათასიანი ტირაჟით რომ ვრცელდება. ახლა კი „პლეიბოისთვის“ გადაღებაც შესთავაზეს.

კაცს რა უნდა და, გახარებაო...

# ყოჩაღი ბიჭები...



**ამ ორმოცგრადუსიან სიცხეში ორასგრადუსიანი ასფალტის დაგებას ხომ მართლაც ვაჟკაცობა და სიყოჩაღე უნდა? აგერ ორი დღის წინათ მოვიდნენ ჩვენს ძველ თბილისურ ეზოში, რეზო თაბუკაშვილის 32-ში ძველი თბილისის გამგეობის მიერ კომპანია „ახალმშენიდან“ გამოგზავნილი მართლაც ყოჩაღი ბიჭები.** ათწუთში ამოავსეს ეზოში ორ ადგილას გაჩენილი უზარმაზარი ორმო. სიცხე-პაპანაქებაში გადააგეს ასფალტი, ჩემი შეთავაზებული ლუდიც შესვეს, მაგრამ, ეგრე არ არის საქმეო, მე რომ ერთი წუთით გავედი, ლუდი თვითონაც მოეტანათ, ანუ მეზობლებს გვაგრძნობინეს, ეგრე არ არის საქმე, ჩვენ ჩვენი სიტყვა გვეთქმისო. რა უნდა მექნა სამადლიეროდ?.. ჯგუფის ბრიგადირს **ზაზა სოლომონიშვილს** მობილური ტელეფონი დავუნახე, მოდით, ერთად გადავიღოთ სურათი, დავბეჭდავთ გაზეთში, ქვეყანამ გაიგოს თქვენი სიყოჩაღის ამბავი-მეთქი. კაი ერთი, თუ ძმა ხარო, მაგრამ დავითანხმე და სურათიც გადაილეს. აი, ეს ყოჩაღი, ალალი ბიჭებიც: **ირაკლი დოლიძე, ვალერი დარისპანაშვილი, რეზო გულიკაშვილი, გიორგი ჩაჩუა.**

გაიხარეთ, ბიჭებო, ჩვენი სამეზობლოს გახარებისთვის!

**ვილენ მარდალეიშვილი**

## განცხადება

**2010 წლის 03 აგვისტოს შპს „ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი“ აცხადებს აკადემიური პერსონალის შესარჩევ კონკურსს სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ მიმართულებებზე:**

**გერმანული;**
**ბერძნული;**
**ჟურნალისტიკა;**
**არაბული სერვერებისა და ქსელების ადმინისტრირება.**

დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს 2010 წლის 3 სექტემბრიდან 21 სექტემბრის ჩათვლით „შპს „ი. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის“ ადმინისტრაციულ შენობაში, მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას №47.

აკადემიური პერსონალის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებს გთხოვთ, წარმოადგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია:

1. განცხადება (იხ. უნივ-ის ვებ-გვერდზე);
2. CV (ავტობიოგრაფია);
3. სააპლიკაციო ფორმა (იხ. უნივ-ის ვებ-გვერდზე);
4. 2 ფოტოსურათი 3X4-ზე;
5. სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დამოწმებული დოკუმენტი (სრული და ასოცირებული პროფესორობის კანდიდატთათვის; ასისტენტ-პროფესორობის კანდიდატებს შეუძლიათ წარმოადგინონ ცნობა დოქტურანტურაში სწავლის თაობაზე);
6. შრომის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასისტენტ-პროფესორისთვის სავალდებულო არ არის);
7. სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი;
8. პირადობის მოწმობის ქსეროასლი;

**ვადის დაუცველად წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ განიხილება.**

ჩვენი კარაბადინი

## წვენი და ძილი



**ალუბლის წვენს შეუძლია უზრუნველყოს კარგი ძილი, მიაჩნიათ ამერიკელ მეცნიერებს. მოხალისეებს იმ დღეებში, როდესაც სვამდნენ ჭიქა სუფთა ალუბლის წვენს დილით და საღამოს, უფრო ღრმად ეძინათ, ვიდრე იმათ, ვინც ამდენივე ოდენობის სხვა წვენს სვამდა.** ალუბალში ბევრი მელატონინია – ჰორმონი, რაც აწესრიგებს ძილისა და სიფხიზლის ციკლს, ამბობენ მკვლევარები. მისი წვენი უძილობის იმ სამკურნალო პრეპარატების ბუნებრივი ალტერნატივაა, რომლებსაც აქვთ გვერდითი მოვლენები.

## ყურადღება მიაქციეთ სპორტულ მედიცინას

**მთელ მსოფლიოში სპორტული მედიცინა დინამიკურად განვითარებადი დარგია. აგვისტოში პირველად ისტორიაში სინგაპურში გაიმართება ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები.** წინაა ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადა, უნივერსიადა ყაზანში 2013 წელს და სოჭის 2013 წლის ზამთრის ოლიმპიადა. ამ შეჯიბრებებისთვის ჩვენი სპორტსმენების სამედიცინო-სანიტარიული და სამედიცინო-ბიოლოგიური უზრუნველყოფა უნდა შეესაბამებოდეს ლონისძიების სტატუსს, გვირჩევენ სპეციალისტები.

## ნუ მიირთმევთ კლონებს

**ევროპარლამენტის დეპუტატებმა მოუწოდეს ევროკავშირის ქვეყნების ხელისუფალთ აკრძალონ კლონირებული ცხოველების ხორცისა და რძის გაყიდვა.** პარლამენტარების განსაკუთრებული შიში გამოიწვია ამასწინანდელმა სამეცნიერო გამოკვლევებმა, რომელთა თანახმადაც კლონირებული ცხოველების სიცოცხლის ხანგრძლივობა გაცილებით დაბალი აღმოჩნდა, ვიდრე მათი ჩვეულებრივი თანაჯიშელებისა. კლონებში უჯრედების დაბერების პროცესი ხდება უფრო სწრაფად, ისინი უფრო ხშირად ავადდებიან გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით, და ამას შეუძლია გავლენა მოახდინოს მათს ხორცსა და რძეზე.

## ნაყინი – ლუდის სანაცვლოდ

**ნორილსკის (რუსეთი) ქუჩებში ქალაქის ხელმძღვანელობამ ლოთობასთან ბრძოლის ორიგინალური აქცია მოაწყო: ალკოჰოლის სანაცვლოდ სთავაზობდნენ ნაყინს.**

აქციაში „სოციალური პატრული“ მონაწილეობა მიიღეს ქალაქის მერმა, შინაგან საქმეთა ადგილობრივი სამმართველოს უფროსმა და სხვა ხელმძღვანელებმა. მოქალაქეებს, ვინც აპირებდა ლუდის და სხვა მაგარი ალკოჰოლური სასმელების დალევას, სთავაზობდნენ ნაყინს – ეს ხდებოდა ქალაქის ცენტრალურ ქუჩებსა და მოედნებზე. პროფილაქტიკური საუბრები პირველი პირების შესრულებით ეფექტიანი აღმოჩნდა. მარტო ერთი საათის განმავლობაში დაახლოებით ასმა მოქალაქემ ალკოჰოლს ნაყინი არჩია.



**რედაქციისაგან: ხომ გაგიგონიათ რუსული გამოთქმა: „ცუდი“ მაგალითი გადამდებიაო. ხომ გჯერათ, რომ ნორილსკელების მაგალითი გადამდები აღმოჩნდება მთელი რუსეთისთვის და იქ ალკოჰოლს საბოლოოდ დაამარცხებენ?**

## შვიდი ჭიქა წყალი



**კორეელი მედიკოსები გვირჩევენ, ვსვათ მეტი წყალი, რომ თავიდან ავიცილოთ ინფარქტი. ორგანიზმში წყლის უკმარისობას, განსაკუთრებით 40 წელზე მეტი ხნის ადამიანებში, ხშირად მივყავართ თრომბის წარმოქმნასთან, რაც იწვევს ინფარქტსა და ინსულტს.** ეს მძიმე დაავადებანი ხშირად წარმოიქმნება დილის გაღვიძებიდან სამი საათის შემდეგ: ძილის დროს ადამიანს, როგორც წესი, სისხლი უდედდება. ეს რომ თავიდან ავიცილოთ, ექიმები გვირჩევენ დღეში 6-ჯერ და 7-ჯერ ვსვათ წყალი. ეს 70 პროცენტით ამცირებს გულის შეტევების რისკს.

## პამიდვრის დღე

**კრასნოიარსკის მხარის სამხრეთში ამ თვეში აღნიშნავენ პამიდვრის დღეს. დღესასწაული „მინუსური პამიდორი“ ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაადგინა 2004 წელს, და იგი ისეთი პოპულარული გახდა, რომ ოთხი წლის შემდეგ სამხრეთის სტატუსი შეიძინა.**

ამ ბოსტნეულმა ასეთი მაღალი „პატივი“ თავისი „ხორცოვანობის“, განსაკუთრებული გემოს, მაღალი მოსავლიანობისა და დიდი ნაყოფის გამო დაიმსახურა. ყველაზე დიდი პამიდვრის სარეკორდო წონა 1,7 კილოგრამია.

## რაც განიერია წელი, მით უკეთესია მეხსიერება?



**ქალის ფიგურის ტიპის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ მისი მეხსიერების შესახებ, მიაჩნიათ ამერიკელ მკვლევარებს. ტესტებში იმ დამების გონიერებაზე, რომელთა ფიგურებიც ვაშლის ფორმისაა, უკეთესი შედეგები იყო, ვიდრე იმათ ტესტებში, ვისაც მსხლის ფორმა აქვთ.**

მიაჩნიათ, რომ ვისაც მძიმე წონა აწუხებს, უმეტესწილად ისინი უფრო მგრძნობიარენი არიან მოხუცებულობის გონებასუსტობასთან, ვიდრე მათი გამხდარი თანატოლები. მაგრამ ცდებმა აჩვენეს, რომ ცხიმოვანი დანალექების მცირე ოდენობა წელის გარშემო არა თუ ასუსტებს ტვინს, არამედ, პირიქით, იცავს კიდეც მას. მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ ცხიმი მუცლის არეში ააქტიურებს ქალის ჰორმონაესტროგენს, რომლის ოდენობაც ორგანიზმში მენოპაუზის შემდეგ ბუნებრივად მცირდება. ესტროგენი კი, როგორც მიაჩნიათ, იცავს ტვინს ნაადრევი სიბერისაგან.

## სამყარო რუხ ფერში

**დეპრესიას მივყავართ ბადურის მგრძნობელობის დარღვევასთან, რის გამოც ადამიანები იწყებენ გარემოს რუხ ტონებში აღქმას, გამოაცხადეს გერმანელმა მეცნიერებმა.** მათ მოხალისეებს შესთავაზეს, უმზირონ შავ-თეთრ გამოსახულებებს, რომლებიც საჭადრაკო დაფას გვაგონებენ. ამ გამოსახულებათა შავი და თეთრი უბნები თავის ფერს იცვლიდნენ წამში 12-ჯერ. აღმოჩნდა, რომ ხალხი დეპრესიის მდგომარეობაში უფრო ნელად აღიქვამდა გამოსახულებათა ფერების ცვლას შავიდან თეთრზე და პირიქით, ჯანმრთელ ადამიანებთან შედარებით. ამის გამო გარემოს ბუნების სალებავები მათ უფრო მკრთალად შეიძლება მოეჩვენოთ.

ДОРОВЬЕ

**აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა მწუხარებას გამოხატავენ შესანიშნავი პიროვნების და ღვაწლმოსილი ხელმძღვანელი მუშაკის**

**გურამ კუციას**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებს და სხვა ჭირისუფალთ.**

---

**გიორგი და მევლუდ დუნდუები ოჯახებით მწუხარებას გამოხატავენ**

**გურამ კუციას**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებს და სხვა ჭირისუფალთ.**

---

**მარინა კანდელაკი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია მწუხარებას გამოხატავენ ღირსეული პიროვნების**

**გურამ კუციას**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.**

ინფორმაცია

## დაიბადა ცალხელა ბავშვი

**ლაგოდეხის სამშობიარო სახლში ბავშვი ცალი ხელით დაიბადა. ლაგოდეხის სამშობიარო სახლის ექიმის, გინეკოლოგ მევლუდ ამირანაშვილის განცხადებით, ახალშობილს მარცხენა ხელი არ აქვს. ინფორმაციას ამის შესახებ კახეთის საინფორმაციო ცენტრი ავრცელებს.**

ბავშვი ჯანმრთელია. ექიმები პათოლოგიის მიზეზს ვერ ხსნიან.

## ჩვილის მდგომარეობა მძიმეა

**მარნეულში დამწვარი ერთი წლის ბავშვის მდგომარეობა მძიმეა. ბავშვი დამწვრობის ცენტრში გვიან ღამით ჯანდაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციათა სამსახურის რეანომობილით გადმოიყვანეს.**

როგორც დამწვრობის ცენტრში განაცხადეს, პაციენტის მდგომარეობა კვლავ მძიმეა, რადგან სხეულის 25 პროცენტი, სახე, ზედა კიდურები და ტანის ზედა ნაწილი აქვს დამწვარი

ბავშვმა ცხელი საკვები სითხე გადაისხა. ოჯახის წევრებმა ის მარნეულის რაიონულ საავადმყოფოში დაგვიანებით მიიყვანეს, რამაც მდგომარეობის გართულება გამოიწვია.

ჯი-ემ-ენი

## დაიჯესტი

### შვიდი ტბა... უდაბნოში

**თუ არ ჩავთვლით პრეფექტურა ტოტორის ტერიტორიაზე გვალვიანი მიწების ერთ მცირე უბანს, კლასიკური გაგებით უდაბნოები იაპონიაში არ არის, თუმცა მათ ათვისებაზე იქაური მეცნიერები და ბიზნესმენები კარგა ხანია იაპონელებისთვის ესოდენ დამახასიათებელი რუდუნებითა და მასშტაბურობით მუშაობენ.**

საქმე ის არის, რომ იაპონიის ერთ-ერთმა უმსხვილესმა სამშენებლო კორპორაციამ „სიმიძუ კინსეცუმ“ სუპერპროექტი „უდაბნოს აკვაქსელი“ შეიმუშავა. მისი არსია უდაბნოში უზარმაზარი, 30 კილომეტრის დიამეტრისა და 20 მეტრის სიღრმის მქონე ორმეტრიანი ბეტონის კედლებში ჩასმული ხელოვნური ტბების შექმნა. ფირმის სპეციალისტებ-



მა ხელოვნური ტბების ასაშენებლად ოპტიმალურ ვარიანტად დედამიწაზე უდიდესი საჰარას უდაბნო მიიჩნიეს. მათი ჩანაფიქრით, უნდა შეიქმნას ერთმანეთისგან 150 კილომეტრით დაშორებული შვიდი ასეთი ტბა, რომლებიც ერთმანეთს 50 მეტრის სიგანისა და 10 მეტრის სიღრმის არხებით დაუკავშირდებიან, რომლებიც შემდგომი კომუნიკაციების საფუძველს წარმოადგენენ. ტბები მილსადენებით ზღვის წყლით შეივსება, რომელიც, ერთი რომ ჭარბი რესურსია და მეორეც – აქტიური თევზსაჭერისა და ზღვის სხვა პროდუქტების მოპოვების შესაძლებლობას შექმნის. თითოეული ტბის შუაგულში გეგმავენ ხუთი კილომეტრის დიამეტრის ხელოვნური კუნძულის აგებას, რომელზეც შემდგომ ქალაქს გააშენებენ. სამშენებლო კორპორაციების სპეციალისტების აზრით, შვიდი ტბის სარკიდან წყლის აქტიური აორთქლება შეცვლის კლიმატურ პირობებს, რაც ხელს შეუწყობს უდაბნოში სიცოცხლის დაბრუნებას. პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში ამ გზით „გადარჩენილი“ მიწების მთლიანი ფართობი 54 ათას კვადრატულ კილომეტრს შეადგენს, ხოლო სამუშაოთა ერთდროულად დაწყების პირობებში, იდეის ფრთაშესხმას 44 თვე დასჭირდება.

### კანონი მაინც კანონია

**მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დღესაც ძალიან ბევრი არქაული კანონი მოქმედებს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ისინი არავის გაუუქმებია. უცნაური კანონები, ცხადია, არც ამერიკის შეერთებული შტატების მთელ რიგ შტატსა და ცალკეულ ქალაქს აკლია. კერძოდ:**



- ორეგონის შტატში ცხენებს ეკრძალებათ ავტომანქანის უკან დასაჯდომზე მგზავრობა;
- აიდაჰოს შტატში მზის ჩასვლის შემდეგ აკრძალულია ქათმის ყიდვა;
- მინესოტას შტატის დედაქალაქ მინეაპოლისში მცხოვრებლებს შეუძლიათ სახლში ჯორები იყოლიონ, თხების ყოლა კი სასტიკად აკრძალულია.
- ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ გრეისქილში სახლიდან გაშვებისას პატრონმა კატას ყელზე სამი ეჟვანი უნდა შეაბას იმისთვის, რომ ფრინველებმა მისი მოახლოება შორიდანვე გაიგონ.

### აბა, რა არის ფილმში მთავარი?..

**კინომსახიობმა ჯინა ლი ნოლინმა, როგორც ჩანს, თავის კოლეგებზე გაცილებით უკეთ იცის, თუ როგორ უნდა წაიკითხოს გრძელი და თავისი გონებისთვის დამღლელი სცენარი სწრაფად და, რაც მთავარია, ხარისხიანად.** საკუთარი „ტექნოლოგიის“ შესაბამისად, იგი გადაფურცლავს სცენარს და „საჭირო“ ადგილებს „მ“ ან „უ“ ასოებით აღნიშნავს. „მ“ ასოთი აღინიშნება ის სცენა, სადაც მან მთელი ტანი უნდა გამოაჩინოს მკერდის „სავალდებულო“ დემონსტრირებით, ხოლო „უ“ კი, შესაბამისად, სცენას აღნიშნავს, სადაც იგი „უმკერდოდაა“, ანუ ეკრანზე მარტო მისი სახე ჩანს. აქედან გამომდინარე, სავსებით გასაგები ხდება, თუ რომელ სცენაში როგორი მაკიაჟია საჭირო.



ახლა მიხვდით, თუ რა ყოფილა ფილმში ყველაზე მთავარი? თქვენ გეგონათ, რომ სიუჟეტი, განცდები, მსახიობების მიერ როლების შესრულების ოსტატობის დონე და სხვა ამგვარი რამ? ხომ დარწმუნდით, რომ ყველაფერი ეს სისულელეა?!

მოამზადა **ოთარ ტურაბელიძემ**

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8391 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3897 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8637 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.0720 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.0515 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2958 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.3362 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2149 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.7213 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +21 – +35 |
| ქუთაისი. | +26 – +38 |
| ბათუმი. | +23 – +34 |
| ზუგდიდი. | +23 – +34 |
| თელავი. | +20 – +32 |

## ანეკდოტები

– ქალიშვილო, რატომ ხართ აქ მარტო და ასე მოწყენილი?
– ველოდები.
– მოდი, ერთად დაველოდოთ.
– როგორც გსურთ.
– მაპატიეთ, ქალიშვილო, მაგრამ ვის ან რას ველოდებით? – კითხულობს ბიჭი მცირე პაუზის შემდეგ.
– თვიურს.

* * *



ბავშვობაში დაბადების დღე ყველაზე საყვარელი დღესასწაულია და კიდევ – საჩუქრები, საჩუქრები, საჩუქრები. მოზრდილისთვის კი დაბადების დღე – ეს არის თავის ტკივილი და ხარჯები, ხარჯები, ხარჯები.

* * *

– ჩემი ცოლი შვებულებაში მიდის.
– ბავშვებს რას უშვრებით?
– თან მიჰყავს. ასე რომ, შვებულება ფაქტობრივად მე მაქვს.

* * *

– ძვირფასო, ერთი კვირით დედაჩემთან მივდივარ, – ეუბნება ცოლი ქმარს. რა გავაკეთო შენთვის?
– მეტი არაფრის გაკეთება არ არის საჭირო.

## დღის კალენდარი

### 4 აგვისტო

**ხსენება წმიდა მოციქულთასწორ და მენელსაცხებლე მარიამ მაგდალელისა; წმიდა მღვდელმოწამე ფოკას ნაწილთა გადასვენებისა.**



ამოდის 04.58
ჩადის 19.16



ამოდის 22.33
ჩადის 14.12

### დაიბადნენ:

**1768 – იოანე ბატონიშვილი,** მწერალი. გარდაიცვალა 1830 წელს.
**1859 – კნუტ ჰამსუნი,** ნორვეგიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1952 წელს.
**1871 – ზაქარია ფალიაშვილი,** კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, გარდაიცვალა 1933 წელს.
**1935 – ვახუშტი კოტეტიშვილი,** აღმოსავლეთმცოდნე, მწერალი, მთარგმნელი, პროფესორი. გარდაიცვალა 2009 წელს.

### გარდაიცვალნენ:

**1060 – ჰენრი I,** საფრანგეთის მეფე.
**1526 – ხუან სებასტიან ელ კანო,** იტალიელი მოგზაური, მაგელანის ექსპედიციის წევრი.
**1875 – ჰანს კრისტიან ანდერსენი,** დანიელი საბავშვო მწერალი.
**1962 – მერილინ მონრო,** ამერიკელი მსახიობი ქალი.

### მოვლენები:

**1693 წელი** – ფრანგმა ბერმა დომ პერინიონმა შამპანურის დამზადების ხერხს მიაგნო.
**1783 წელი** – ჩრდილოეთ კავკასიის ციხე-სიმაგრე გეორგიევსკში დაიდო ხელშეკრულება რუსეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს შორის.
**1870 წელი** – დაარსდა ბრიტანული ორგანიზაცია „წითელი ჯვარი“.

**ღირსსახსოვარი დღეები:**
**აშშ** – სანაპირო დაცვის დღე.
**აშშ** – ღიმილის ნაციონალური კვირეული.
**ტრინიდადი და ტობაგო** – აღმოჩენის დღე.
**კუკის კუნძულები** – კონსტიტუციის დღე.
**ესპანეთი** – ასტურიის დღე.

**მედიანიუსი**

## სახალხო დღესასწაული

### ელიაობა დედოფლისწყაროში

**კვირას, 1 აგვისტოს, დედოფლისწყაროს კულტურის სახლის ეზოში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ტრადიციული ელიაობის დღესასწაულის აღსანიშნავად ღია ცის ქვეშ გაიმართა დიდი გალაკონცერტი თბილისელი საესტრადო ვარსკვლავების მონაწილეობით.**

კონცერტის დამთავრების შემდეგ სტუმარ-მასპინძლებმა გეზი ელიის მთისკენ აიღეს, სადაც საღამოს ლოცვა და ღამისთევის სადღესასწაულო მსახურება დედოფლისწყაროს ჰერეთის ეპარქიის მღვდელმსახურებთან ერთად, აღავლინა მეუფე მელქისედეკმა.

**ნანა ჭიჭინაძე, „სრ“ საკ. კორ.**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.